საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 97 (641) სამშაბათი, 11 მაისი, 1993 წელი ფასი 5 კუპონი.

პირველი სვეტი

ცნობები აფხაზეთიდან

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების პრესცენტრიდან გვაცნობებს, რომ 7 მაისს მთელი დღის განმავლობაში მდინარე გუმისთაზე აქტიურ საბრძოლო მოქმედებებს ადგილი არ ჰქონია.

18 საათზე აფხაზი სეპარატისტების არტილერიამ დაიწყო სოხუმის დაბომბვა. ქალაქის ერთ-ერთ რაიონში გასკდა 10-მდე საარტილერიო ჭურვი, ერთ-ერთი მათგანი დაეცა ცხუმ-აფხაზეთის დეკანოზის იოანეს სახლს. ძლიერი აფეთქების შემდეგ დაიღუპა ოჯახის დიასახლისი, ამ ბარბაროსული აქტის შედეგად დაინგრა და დაზიანდა 15 საცხოვრებელი სახლი.

ოჩამჩირის რაიონში მოწინააღმდეგე შეეცადა განეხორციელებინა ფართო მასშტაბიანი შეტევა სოფელ ლაბრასა და თოლმუშში. ჩვენმა მეომრებმა მოიგერიეს მტრის შემოტევა. გააფთრებულ ბრძოლებში მოწინააღმდეგემ დაკარგა 10-მდე ბოევიკი და იძულებული შეიქნა უკან დაეხია.

8 მაისს მოწინააღმდეგემ მოახერხა მძიმე ტექნიკის გადაადგილება და ქვემო ეშერას მიდამოებიდან გაუხსნა საარტილერიო ცეცხლი მდინარე გუმისთაზე განლაგებულ ჩვენს პოზიციებს. მან აგრეთვე წინა ხაზზე გამოიყვანა ტანკი და ქვეითთა საბრძოლო მანქანა, ჩვენი მეომრები ცეცხლითვე პასუხობდნენ. პოზიციურმა ბრძოლებმა 14 საათამდე გასტანა. უფრო გვიან კი სროლების ინტენსიურობამ შედარებით იკლო.

17 საათზე აფხაზეთის მხარემ დაიწყო ქალაქის ცენტრალური ნაწილის დაბომბვა. ქალაქის მჭიდროდ დასახლებულ რაიონში აფეთქდა 16 ჭურვი, დაიჭრა 3 მოქალაქე. დაბომბვის შედეგად დაინგრა 10-მდე სახლი. ჩვენმა არტილერისტებმა საპასუხო ცეცხლის შედეგად საშუალება არ მისცეს მოწინააღმდეგეს გაეგრძელებინა ქალაქის დაბომბვა.

8, 9 მაისმა მთის მხარეს, მდინარე გუმისთაზე, ინტენსიური ბრძოლების გარეშე ჩაიარა.

2 საათისათვის ახალ ათონს მიუახლოვდა აფხაზეთის 2 სამხედრო გემი, რომლებიც შემჩნეულ იქნენ ჩვენი სამხედრო საზღვაო ძალების მიერ, მათ დაუყოვნებლივ გაუხსნეს ცეცხლი მოწინააღმდეგეს, რის შედეგადაც მტრის ერთი გემი ჩაძირული იქნა, ხოლო მეორე, მიიღო რა სერიოზული დაზიანება, იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო.

10 საათსა და 45 წუთზე აფხაზურმა მხარემ კვლავ გაუხსნა ცეცხლი სოხუმის მშვიდობიან მოსახლეობას გრადის რეაქტიული დანადგარებიდან.

ქალაქის საცხოვრებელ უბნებსა და გარეუბნებში ჩამოვარდა 100-მდე რეაქტიული ჭურვი, რის შედეგადაც დაიღუპა 2, დაიჭრა 28 მოქალაქე, ჩვენმა არტილერისტებმა საპასუხო ცეცხლი გაუხსნეს მოწინააღმდეგეს და აიძულეს, რომ შეეწყვიტა ქალაქის დაბომბვა.

იოსებ გოგეჩია.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

დიდი მწერლის საიუბილეოდ

კონსტანტინე გამსახურდია-100

15 მაისს სრულდება 100 წელი დიდი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას დაბადების დღიდან. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა კონსტანტინე გამსახურდიას საიუბილეო კომისიის თავმჯდომარეს, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს გურამ ფანჯიკიძეს. გთავაზობთ ამ საუბარს:

— ბატონო გურამ, 1991 წელს უკვე აღვნიშნეთ დიდი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას დაბადებიდან 100 წლისთავი. რითაა განპირობებული წელს განმეორებით მისი ჩატარება?

— საბუთების მიხედვით კონსტანტინე გამსახურდიას დაბადების ორი თარიღია ცნობილი — 1891 წელი და 1893 წელი. მწერლის იუბილე 1991 წელს ჩატარდა პირველი თარიღის მიხედვით, იუბილე აღინიშნა ძალზე მასშტაბურად. დარჩენილი იყო მხოლოდ საბოლოო აკორდი — შემაჯამებელი საღამო. სწორედ მაშინ მიიჩნიეს, რომ მწერლის დაბადების უფრო ზუსტი თარიღია 1893 წელი. პრესაში ოფიციალურადაც გამოცხადდა, რომ დიდი მწერლის იუბილეს 1993 წელს გადაიტანდნენ.

— როგორ ხვდებით მწერლის იუბილეს?

— უკვე მოგახსენეთ, ჯერ კიდევ 1991 წლის მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა-მეთქი ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით. ამჯერად უკვე ქვეყნდება მწერლისადმი მიძღვნილი წერილები, აგრეთვე თვით მწერლის აქტუალური პუბლიცისტური წერილები. 15 მაისს გაზეთები „საქართველოს რესპუბლიკა", „სვობოდნაია გრუზია" და „ლიტერატურული საქართველო" საგანგებო ნომრებს მიუძღვნიან კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებას. დიდი მწერლის იუბილეს აღნიშნავენ აგრეთვე ჟურნალები „მნათობი", „ცისკარი", „განთიადი", „საუნჯე", „ლიტერატურნაია გრუზია", ტელევიზიას დაგეგმილი აქვს დიდი საიუბილეო გადაცემა. საიუბილეო დღეებში ბუნებრივია, ამ თარიღს აღნიშნავს საქართველოში გამომავალი ყველა გაზეთი. ტელევიზიით გადაიცემა კინოფილმი „დიდოსტატის მარჯვენა". იგივე ფილმი ნაჩვენები იქნება საქართველოს კინოთეატრების ეკრანებზე. გამოვა მწერლისადმი მიძღვნილი პლაკატი. „მერანი" გამოსცემს კონსტანტინე გამსახურდიას იმ პუბლიცისტური სტატიების კრებულს, რომლებიც ძალზე მიესადაგება დღევანდელ პრობლემებს. საქართველოს რადიო საგანგებო გადაცემასთან ერთად კვლავ შეგვახსენებს მწერლის ნაწარმოებების მიხედვით შექმნილ რადიოდადგმებს, მოგვასმენინებს დიდი მწერლის ხმას. კოტე მარჯანიშვილის სახელობისა და ქუთაისის თეატრები აღადგენენ მწერლის ნაწარმოებების მიხედვით შექმნილ სპექტაკლებს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტში და თბილისის უნივერსიტეტში ჩატარდება დიდი მწერლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიები.

შემდგომ საიუბილეო დღესასწაული გადაინაცვლებს ქუთაისში, ბათუმში, საქართველოს სხვა ქალაქებსა და რაიონებში, სასწავლებლებსა და დაწესებულებებში, შემოდგომაზე კი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში შედგება შემაჯამებელი საზეიმო-საიუბილეო საღამო.

— როდის აღადგენენ ხანძრისაგან დაზარალებულ მწერლის სახლ-მუზეუმს — კოლხურ კოშკს?

— კოლხური კოშკი არ გახლავთ სახლ-მუზეუმი. იგი კერძო პიროვნებას, მწერლის მემკვიდრეს ეკუთვნის. კოლხური კოშკი ადრეც გაურემონტებია ქალაქის საბჭოს. ამჯერადაც მისი აღდგენა მემკვიდრისა და ქალაქის მერიის საქმეა. თუ იქ სახლ-მუზეუმი მოეწყობა, ამისათვის მემკვიდრის თანხმობაა საჭირო და ამ საქმის მოგვარება კულტურის სამინისტროს კომპეტენცია იქნება.

რაც შეეხება მწერლის არქივს, ბიბლიოთეკასა და მემორიალურ ღირებულებებს, მწერლის სახლისა და არქივის მოვლისა და დაცვის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის პროფესორ გურამ შარაძის მეცადინეობით, მათი დიდი ნაწილი გადარჩენილია. მადლობა გვინდა გადავუხადოთ საქართველოს სახელმწიფო საარქივო სამმართველოს მმართველს ბატონ ზურაბ მახარაძეს, რომელმაც არქივის სეიფებში მოათავსა მწერლის ბიბლიოთეკა, ხელნაწერები და არქივი. სარესტავრაციო განყოფილებამ (გამგე თ. სახოკია), ხელნაწერთა ინსტიტუტის შესაბამის განყოფილებასთან (გამგე ლ. ალექსი-მესხიშვილი) ერთად დიდი მუშაობა გასწია არქივისა და წიგნების რესტავრაციისათვის.

ამჟამად, გურამ შარაძის ხელმძღვანელობით, ლიტერატურის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლები ც. ბუქურაული, ლ. გედევანიშვილი, რ. ნიშნიანიძე და რ. კობახიძე ამუშავებენ არქივსა და ხელნაწერებს. ამის თაობაზეც ამ დღეებში „ლიტერატურული საქართველო" გამოაქვეყნებს გურამ შარაძის ვრცელ ინტერვიუს.

გულდასაწყვეტია, რომ ყველასათვის გასაგები მიზეზების გამო საშემოდგომოდ ვერ მოვიწვევთ ბევრ სტუმარს, მაგრამ შევეცდებით, რაც შეიძლება ღირსეულად აღვნიშნოთ დიდი მწერლის იუბილე.

ნომერში

⊙ სარედაქციო ფოსტიდან: რამდენიც კაცია, იმდენი აზრია. 3

⊙ იტალიას ეიმედება ქართული ტენორისა. 4

ედუარდ შევარდნაძის და ბორის ელცინის სატელეფონო საუბარი

რუსეთისა და საქართველოს სახელმწიფოების მეთაურთა უმაღლესი დონის შეხვედრა გაიმართება მოსკოვში 14 მაისს

8 მაისს ერთმანეთს ტელეფონით ესაუბრნენ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ბორის ელცინი და საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა გულთბილად მიულოცა რუსეთის პრეზიდენტს დამაჯერებელი გამარჯვება რეფერენდუმში და უსურვა წარმატებანი სტაბილური დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში.

რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ რუსეთის რეფერენდუმის შედეგები და ამ ბოლო ხანს საქართველოში მომხდარი პოზიტიური მოვლენები ხელშემწყობ პირობებს ქმნის ორ სახელმწიფოს შორის ახალი ურთიერთობისათვის.

ბორის ელცინმა ედუარდ შევარდნაძეს შესთავაზა [illegible] სამუშაო ვიზიტად მოსკოვს ორი სახელმწიფოს თანამშრომლობის პრინციპული და მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაური დათანხმდა ბორის ელცინის [illegible].

რუსეთისა და საქართველოს სახელმწიფოების მეთაურთა უმაღლესი დონის შეხვედრა გაიმართება მოსკოვში 14 მაისს.

ედუარდ შევარდნაძე: რუსეთ-საქართველოს შეხვედრა უმაღლეს დონეზე ორ ქვეყანას შორის სრულიად ახალ, თანასწორუფლებიან და კეთილმეზობლურ ურთიერთობათა დაწყების საწინდარი უნდა გახდეს

10 მაისის რადიოინტერვიუ

— რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო მეთაურთა შეხვედრა კარგა ხანია, მომწიფებული იყო და დაგვიანდა კიდეც, — განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ საქართველოს რადიოს კომენტატორ ნატო ონიანთან თავის ტრადიციულ რადიოინტერვიუში, როცა 14 მაისს მოსკოვში პრეზიდენტ ბორის ელცინთან მომავალ შეხვედრას შეეხო. — ეს შეხვედრა აუცილებელი იყო და, ვფიქრობ, მისი მნიშვნელობა სერიოზული იქნება, — თქვა მან. — ახლა არ მინდა ზედმეტი ილუზიები შევქმნა ამასთან დაკავშირებით, — განაგრძო შემდეგ ედუარდ შევარდნაძემ, — მაგრამ, როცა ჩვენი ქვეყნის ისეთ ცალკეულ პრობლემებზე ვლაპარაკობთ, როგორიც არის, მაგალითად, აფხაზეთის კონფლიქტი, სამაჩაბლოში შექმნილი ვითარება, ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობა და ა. შ., უნდა გვახსოვდეს, რომ ამ პრობლემათა გასაღები, თუ შეიძლება ასე ითქვას, სწორედ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში დევს. მხედველობაში მაქვს ორ ქვეყანას შორის თანასწორუფლებიანი, კეთილმეზობლური, სრულიად ახალი ურთიერთობანი. მე მგონი, ჩვენი ეს შეხვედრა ასეთ ურთიერთობათა დაწყების საწინდარი უნდა გახდეს. ჩვენს შორის გამართულ სატელეფონო საუბარში სწორედ ამას გავუსვით ხაზი და, ვფიქრობ, უნდა დაიწყოს ახალ ურთიერთობათა შენება, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ, — რაც შეეხება აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებას რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებათა ფონზე, აქაც მოგვარების ეს გზა ერთი მხრივ, ქართველთა და აფხაზთა დიალოგზე გადის, ხოლო მეორე მხრივ, იგი საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში უნდა ვეძებოთ. ასეთ შემთხვევაში რუსეთის ნეიტრალური პოზიციაც კი მომგებიანია და ძალიან ბევრს ნიშნავს. ცხადია, აღარას ვამბობ ამ სახელმწიფოს აქტიურ პოზიტიურ როლზე იმ პრობლემათა გადაჭრის საქმეში, რომელთა მიმართ საქართველოს პარლამენტმა ცალსახად გამოხატა თავისი დამოკიდებულება. აქვე ისიც მინდა აღვნიშნო, — განაგრძო შემდეგ სახელმწიფოს მეთაურმა, — რომ ამ შეხვედრას იზოლირებულად ვერ განვიხილავთ. ვთქვათ, როცა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა გვქონდეს ისეთი ფაქტორები, როგორიც არის ამ კონფლიქტის მოგვარების საქმეში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უკვე რეალური მონაწილეობა; მისი წარმომადგენლის მიერ, რომ იტყვიან, პირდაპირ შემთხვევის ადგილიდან, დაბომბვის ადგილიდან გაკეთებული განცხადებები, რომლებიც პირველად გაისმა; ევროპული სტრუქტურების და განსაკუთრებით უკრაინის მზადყოფნა, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღოს ამ სამუშაველო საქმიანობაში; ასეთი იმპულსები უკრაინაში ჩემი ვიზიტის შემდეგ რამდენჯერმე იყო და როგორც კი ხელსაყრელი მომენტი დადგება, ჩვენ, რა თქმა უნდა, მივმართავთ თხოვნით და შეიძლება გამოიძებნოს ურთიერთობის და მუშაობის საინტერესო ფორმები.

მინდა კიდევ ერთი ახალი მომენტი დავუკავშირო აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებას, — თქვა შემდეგ ედუარდ შევარდნაძემ — ეს გახლავთ სამთა თანამშრომლობა კავკასიაში, ამიერკავკასიაში. მხედველობაში მაქვს ჩვენი დიალოგი სომხეთთან და აზერბაიჯანთან. რადიომსმენელებს ახსოვთ, — განაგრძო სახელმწიფოს მეთაურმა, — რომ ამის თაობაზე არაერთხელ განმიცხადებია, მაგრამ ანკარის შეხვედრების დროს განსაკუთრებით წარმოჩინდა ჩვენი სამივე სახელმწიფოს როლი და პასუხისმგებლობა საერთოდ კონფლიქტების მოგვარებისათვის ბრძოლაში. აი, იმ ფაქტორთა მთელი კომპლექსი, რომლებიც აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებასთან არის დაკავშირებული, მაგრამ ერთ-ერთი ცენტრალური მათ შორის რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებაა. ვნახოთ, რით დამთავრდება იგი. — დასძინა მან.

შეეხო რა რუსეთში ბოლო დროს მომხდარ მოვლენებს და 9 მაისს გამართულ ღონისძიებებს, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ, როგორაც უნდა გართულებულიყო მოვლენები მოსკოვში, სულ ერთია, გავლენას საერთო სიტუაციაზე მაინც ვეღარ მოახდენდა, რადგან აშკარაა, რომ ელცინმა თავისი პოზიციები სერიოზულად გააძლიერა. საქართველოში გამოთქმული პროგნოზები ფაქტობრივად გამართლდა, — განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ, — რომ რუსეთი ივლის დემოკრატიის გზით და ჩვენთვისაც ეს ძალიან სასარგებლო და სასიხარულო მომენტია. პრეზიდენტ ელცინთან სატელეფონო საუბრის დროსაც გამოითქვა ამის დიდი იმედი. რაც შეეხება 9 მაისის დემონსტრაციას მოსკოვში, მართალია, იგი ხალხმრავალი იყო, მაგრამ დემოკრატიის მტრებს ის მაინც არ გამოუვიდათ, რაც სურდათ და უნდოდათ. ამიტომ გუშინდელი დღეც პრეზიდენტ ელცინის გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს, ახლა მას დიდი საშუალებები აქვს, რომ იმოქმედოს. ეს გავლენას მოახდენს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაზეც.

— გასულ კვირას თქვენი განკარგულებით ფუნქციონირება შეწყვიტა ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭომ და საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბატონი ჯაბა იოსელიანი გადადგა თანამდებობიდან, ხოლო თავდაცვის მინისტრად დაინიშნა ახალგაზრდა გენერალი გიორგი ყარყარაშვილი., 6 მაისს პარლამენტის სხდომაზე ამ საკითხის განხილვისას თქვენ აღნიშნეთ, რომ საქართველოში არავითარი გადატრიალება არ მოხდება, ამას ხალხი მხარს არ დაუჭერს და, თუ ვინმეს ეს ესიზმრება, იგი მარტო დარჩება. თქვენ უკვე მერამდენედ გიხდებათ ამგვარი განცხადებების გაკეთება. თუ შეიძლება გვითხარით, რა არის ასეთი დარწმუნების საფუძველი... ქვეყანაში სტაბილურობის ნიშნები, მოსახლეობის განწყობა, სამართალდამცავი ორგანოების მუშაობა თუ სხვა რამ? ისიც გვაინტერესებს, საკადრო ცვლილებებს ხომ არ უნდა ველოდეთ სამომავლოდ? ჰკითხა სახელმწიფოს მეთაურს კომენტატორმა.

— მთავარი საფუძველი მოსახლეობის განწყობაა — ხაზგასმით აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ, — ხალხიც დაიღალა და ქვეყანაც დაიღალა არეულობებისაგან და გადატრიალებებსა და კატაკლიზმებზე ფიქრიც კი ზარავს. მეორეც — უკვე ჩამოყალიბდა ხელისუფლებისადმი ნდობა, მხედველობაში მყავს პარლამენტი, და, ახლა გადატრიალება ვინმემ კიდეც რომ მოისურვოს, მას ხალხი პირდაპირ წალეკავს, თუკი ამის მსურველნი (ვიცი, არის ასეთი ხალხიც — ფიქრობენ, ლაპარაკობენ), მთლად უგუნურნი არ არიან, ამან უნდა შეაჩეროს, რადგან, ვიმეორებ, ხალხი წალეკავს, ვინც ამას შეეცდება. ამიტომ ვამბობ, რომ ასეთი საფრთხე გამორიცხულია. არის თუ არა საკადრო ცვლილებები მოსალოდნელი, ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ ვიმუშავებთ და როგორ შევასრულებთ დაკისრებულ მოვალეობას ჩემით დაწყებული და რიგითი სახელმწიფო მოხელით დამთავრებული. თუ წაყენებულ მოთხოვნებს ვერ ვუპასუხებთ, ცხადია, მაშინ ცვლილებები იქნება.

— სხვათა შორის, მოსახლეობის განწყობაზე რომ გკითხეთ, ვიგულისხმე თუნდაც ის უზარმაზარი მხარდაჭერა, რაც გუშინ, ტელევიზიით, თქვენს მიმართ გამოხატა უნივერსიტეტის პროფესურამ, ჩვენმა ცნობილმა მეცნიერებმა, მოღვაწეებმა, — თქვა კომენტატორმა, — ჩვენც დაგვირეკეს ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლებმა და თავიანთი თანადგომა გამოხატეს. იცით, ამას იმიტომ ვიხსენებ, რომ ცნობილი მიმართვა ზუსტად დაემთხვა მოსკოვის ტელევიზიის მიერ გადმოცემულ სიუჟეტს აფხაზეთზე, რომლის შემდეგ გამართული განხილვის დროს თქვენს მიმართ მაინცდამაინც დიდი სიმპათიები არ გამოუხატავს ამ განხილვის ზოგიერთ მონაწილეს. სამწუხაროა, მეტი რომ არაფერი ვთქვათ, რომ რუსი შოვინისტის აზრი აფხაზეთთან და შევარდნაძესთან მიმართებაში ზუსტად ემთხვევა მიმართვაზე ხელისმომწერთა აზრს...

— მე ერთხელ პარლამენტზე აღვნიშნე და სხვაგანაც ვთქვი, რომ უნივერსიტეტი საზოგადოებრივი აზრის საზომია საქართველოში, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ, — ასე იყო და ახლაც ასეა. ამიტომ ვერ დავმალავ შეშფოთებას, რომელიც ერთ-ერთ გაზეთში დაბეჭდილმა განცხადებამ ჩემში გამოიწვია. მაგრამ მე მადლობელი ვარ უნივერსიტეტისა, რომელიც საქართველოს სინდისს განასახიერებს, რომ ასეთი მხარდაჭერა გამოხატა. არ შემიძლია, რაიმე ვთქვა, რადგან არ ვიცი, როგორ გავამართლებ ასეთ დიდ ნდობას. მცდელობას რომ არ დავაკლებ, ეს კი ნამდვილად ვიცი, — დასძინა მან.

შემდეგ საუბარი შეეხო სახელმწიფოს მეთაურის გუშინდელ გამგზავრებას ბოლნისის რაიონში. ბოლნისში ჩემი ჩასვლა, — განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ, — იმით იყო გამოწვეული, რომ იქ შექმნილი მდგომარეობა ფეთქებადსაშიშად ჩავთვალე. მწვავეა დაპირისპირება იქ ჩასახლებულ და ადგილობრივ მაცხოვრებელთა შორის. ჩანს, ეს არ არის ახალი ამბავი. გადაუჭრელი პრობლემები აქ წლების მანძილზე გროვდებოდა, რაშიც ახლა არ შემიძლია ვინმე დავადანაშაულო, არც ადგილობრივი ხელისუფლება, არც ჩასახლებულები და არც ადგილობრივი ხალხი. პრობლემები მართლაც ბევრია, რითაც ადამიანთა ნაწილმა ისარგებლა და შეეცადა ისინი თავისი მიზნებისათვის გამოეყენებინა, ცენტრალურ ტრასაზეც კი გაევრცელებინა თავისი გავლენა, ერთი სიტყვით, ყველაფერი ჩაეგდო ხელში. ახლა, როცა ყოველივე ამის კონტროლი გაძლიერდა, და ღონისძიებათა გატარებას შევუდექით, ბუნებრივია, მათმა შემოსავალმა, ჩანს, იკლო და შედეგმაც არ დააყოვნა, მდგომარეობა დაიძაბა. ბოლნისში უკვე იყო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ბატონი თენგიზ სიგუა, იყვნენ სხვებიც და იქ გამართული საუბრებით დავრწმუნდით, რომ არსებობს ყველაფრის დაძლევის გულწრფელი სურვილი. ამიტომ, მე მივიღებ გადაწყვეტილებას, რომ შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც შეისწავლის მდგომარეობას და გადაჭრის პრობლემებსაც... მეტად სამწუხაროა, რომ იქ ერთი ახალგაზრდა დაიღუპა. მინდა გულწრფელი სამძიმარი ვუთხრა მის ოჯახს და ბოდიში მოვუხადო, რომ იქ გვიან ღამით ვიყავი და ამიტომ ოჯახში ვერ მივედი... დაიღუპა შესანიშნავი ახალგაზრდა, რომელიც აფხაზეთში იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისა და ერთიანობისათვის.

სამწუხაროდ, საქართველოს ტრასები, — განაგრძო შემდეგ ედუარდ შევარდნაძემ, — არათუ საიმედოდ, საერთოდ არ არის დაცული. ამიტომ მათ დასაცავად გადადგმულ ყოველ ახალ ნაბიჯს უნდა მივესალმოთ. ძალიან მოკლე დროში, შევძელით საგზაო პოლიციის ჩამოყალიბება. მასში უკვე 1500 კაცია. ახლახან მისი მეთაურის ანგარიში მოვისმინეთ და, უნდა ვთქვათ, რომ საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ჩვენი ტრასები უნდა ვაქციოთ ქვეყნის შემოსავლის წყაროდ, — ასეთია ამოცანა. ამჟამად კი კაპიკებსაც ვერ ვიღებთ, მილიარდები იკარგება, ვიდრე წესრიგს არ დავამყარებთ თბილისი — წითელი ხიდის, თბილისი-სოხუმის, თბილისი-დმანისის და სხვა ტრასებზე. ისიც უნდა ვთქვა, რომ საგზაო პოლიციის გადაადგილებას მოჰყვა ჩვენი მოწინააღმდეგეების რეაქციაც, მაგრამ ეს დროებითი მოვლენაა, რადგან ამ ახალი შენაერთის პოზიციები უკვე მყარია ისეთ რაიონებშიც, სადაც ასეთი რეაქცია იყო. ვფიქრობ, იქაც წესრიგი იქნება, ეს ეხება სენაკსაც და ხობსაც და ეს ეხება თბილის-ბათუმის ტრასასაც, სხვა ტრასებსაც.

წესრიგი ტრასებზე დაგვეხმარება, რომ ჩვენს საზღვარგარეთელ მეგობრებს მეტი დახმარების სურვილი გაუჩნდეთ, — განაგრძო ედუარდ შევარდნაძემ, — აგერ უკვე გამოჩნდა „დოიჩე ბანკი", ევროგაერთიანებამ 10 მილიონი ეკიუ გამოგვიყო, ასევე გამოჩნდებიან სხვებიც, თუკი ჩვენ ჩვენი ერთიანობის და წესრიგის პრობლემას გადავწყვეტთ. ჩვენთვის ძალიან ბევრს აკეთებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემი ვიზიტის დროს ამ ქვეყანაში ბევრ რამეს მივაღწევთ.

ინტერვიუს დასასრულს საუბარი შეეხო ურთიერთობებს უკრაინასთან და თურქეთთან. — მე უკვე არაერთხელ ვთქვი, — უპასუხა სახელმწიფოს მეთაურმა კომენტატორის შეკითხვას, — რომ უკრაინის ფაქტორს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ეს ქვეყანა სულ უფრო მზარდ როლს შეასრულებს არა მარტო ჩვენს რეგიონში, არამედ ევროპაში და მსოფლიოშიც, ასევეა თურქეთიც, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ, — ამიტომ კარგი იქნებოდა, რომ მასთან დაწყებულ ამ ფართო ურთიერთობის დროს პრეზიდენტის პოსტზე გვეხილა ევროპასა და მსოფლიოში ცნობილი ისეთი მოღვაწე, როგორიც ბატონი დემირელია, რომელსაც ენდობიან ხალხებიც და პოლიტიკოსებიც. ეს არის ადამიანი, რომელიც პირველი ჩამოვიდა ჩვენთან და პირველმა მოაწერა ხელი სამეგობრო ხელშეკრულებას. მე მჯერა, რომ თურქეთის მეჯლისი ამ არჩევანს გააკეთებს.

ღმერთმა ქნას, რომ 1993 წელმა, რომელიც სათნოების წლად გამოაცხადა ჩვენმა პარლამენტმა, გაამართლოს ჩვენი იმედები, — თქვა დასასრულს ედუარდ შევარდნაძემ, — ძალიან მინდა, რომ იგი მართლა სათნოების წელი იყოს მთელი ჩვენი ქვეყნისათვის, ყველა ოჯახისათვის, მოქალაქისათვის, ჩვენი პარლამენტისათვის და მისი თავმჯდომარისათვისაც. ის მოძრაობა, რომელიც ქუთაისში დაიწყო, მისასალმებელია, ჩვენს პარლამენტს მხარდაჭერა სჭირდება და უნდა გავაკეთოთ. ყველა ეტაპზე, რომლებიც გავიარეთ, ჩვენი პარლამენტი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა და მის მიმართ ამისათვის მადლობის მეტი არაფერი მეთქმის.

საქართველოს პარლამენტის პრეს-ცენტრი.

ჯეკობ ნიმროდი, საექსპორტო-საიმპორტო საერთაშორისო კორპორაციის გამგეობის თავმჯდომარე, ბატონ ე. შევარდნაძეს, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს

თბილისი, 27 აპრილი, 1993.

ძვირფასო ბატონო შევარდნაძე,

ჩემთვის უდიდესი სიამოვნებაა შეგატყობინოთ, რომ მე შევწირე ჩემი საუკეთესო დრო და ძალისხმევა, რათა საქართველოს ვიცე-პრემიერის ზ. კერვალიშვილის მოთხოვნის თანახმად, მეშოვა სურსათი უმცირეს ფასებში. ეს მისია ამჟამად წარმატებით დასრულებულია.

თავდაპირველად მოგეწოდებათ კარაქი, ხორბალი და ცხვარი. დეტალებს მოგაწვდით პროფ. ზემცოვი. შემდეგი თვისთვის გამოგიგზავნით 12.000 ტონა ბრინჯს, თქვენი მოთხოვნის თანახმად.

ვიმედოვნებ, რომ ფარმაცევტიკამ, რომელიც მე ბოლო კვირას გამოგიგზავნეთ, როგორც ნობათი ქართველ ერს, დანიშნულების ადგილამდე მშვიდობით მოაღწია.

საუკეთესო სურვილებით გულწრფელად თქვენი

ჯეკობ ნიმროდი.

ბატონ ჯეკობ ნიმროდს — საექსპორტო-საიმპორტო საერთაშორისო კორპორაციის გამგეობის თავმჯდომარეს

ძვირფასო ბატონო ნიმროდ,

გულითად მადლობას გიძღვნით ჩვენი ქვეყნისადმი გამოჩენილი გულისხმიერებისა და ყურადღების გამო. მძიმე ეკონომიკურ პირობებში თქვენს მიერ მოწოდებული საკვები პროდუქტები უაღრესად შეგვიმსუბუქებს მდგომარეობას. რაც შეეხება ფარმაცევტულ ნაწარმს, ის უკვე მივიღეთ და გავანაწილეთ დანიშნულებისამებრ.

კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას მთელი ჩვენი ხალხის სახელით და ვიტოვებ შემდგომი თანამშრომლობის იმედს.

გულწრფელად თქვენი

ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

საქართველოს რესპუბლიკის ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის სამხედრო მომზადების კათედრის უფროსისათვის, გადამდგარ პოლკოვნიკ ა. მ. ბერიძისათვის გენერალ-მაიორის წოდების მინიჭების შესახებ

მიღებულ იქნეს საქართველოს ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ომის ვეტერანთა რესპუბლიკური კომიტეტის წინადადება და საქართველოს რესპუბლიკის ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარეს, საქართველოს რესპუბლიკის ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის სამხედრო მომზადების კათედრის უფროსს, გადამდგარ პოლკოვნიკ ალექსანდრე მიხეილის ძე ბერიძეს სამხედრო დამსახურებისათვის, შეიარაღებულ ძალებში ხანგრძლივი შრომითი და ნაყოფიერი სამხედრო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილისათვის მიენიჭოს სამხედრო წოდება „გადამდგარი გენერალ-მაიორი".

ე. შევარდნაძე.

ქ. თბილისი, 1993 წლის 8 მაისი.

გამარჯვების დღის აღსანიშნავად

მრავალი წლის მანძილზე მაისის ეს დღე კალენდარში შეტანილი იყო, როგორც სადღესასწაულო დღე. მას უწოდებდნენ თვალცრემლიან დღესასწაულს — საქართველო პატივს მიაგებდა თავის 300 ათასზე მეტი შვილის ხსოვნას, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის ფრონტებზე დაიღუპნენ, და იმათ, ვინც გამარჯვებული დაბრუნდა.

9 მაისს ტრადიციისამებრ გაიმართა გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ცერემონიები. ხალხი პატივს მიაგებდა მამაც ფრონტელებს. სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ, საქართველოს პარლამენტის სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ და რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა გიორგი ყარყარაშვილმა ყვავილებით შეამკეს მარადიული ცეცხლი უცნობი ჯარისკაცის საფლავზე გამარჯვების პარკში და დღეს საქართველოს სუვერენიტეტისათვის ბრძოლებში დაღუპულ მეომართა საფლავები მემორიალურ სასაფლაოზე.

„თბილისელის" კეთილი ინიციატივა

8 მაისს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე შეხვდა ქალთა საქველმოქმედო ორგანიზაციის „თბილისელის" წარმომადგენლებს.

ორგანიზაციის შექმნის ინიციატორმა ნინო კიღურაძემ შეხვედრაზე აღნიშნა, რომ უკვე საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების სამი ათასზე მეტი ოჯახი გამოეხმაურა „თბილისელის" მოწოდებას ეკონომიკურად დაუჭირონ მხარი ქვეყანას საქართველოსათვის მძიმე ჟამს. ამან საშუალება მისცა ორგანიზაციას აფხაზეთისათვის გადაეცა მედიკამენტები, აგრეთვე შეეძინა ტანსაცმელი და ფეხსაცმელი იმათთვის, ვინც უსახლკაროდ დარჩა.

ედუარდ შევარდნაძემ მადლობა გადაუხადა ორგანიზაცია „თბილისელს", რომელიც ათასობით ადამიანს აერთიანებს, მათი კეთილი ინიციატივისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება

საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა თანდართული ფორმით.
2. დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
თ. სიგუა

საქართველოს რესპუბლიკის გერბი

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო

საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა №

ეძლევა --------------------------------
/მესაკუთრე, მისი მისამართი და საანგარიშსწორებო
-------------------------------- ანგარიში ბანკში/
-------------------------------- მასზედ,
რომ მას გადაეცა საკუთრებაში --------------------------------
/ობიექტის დასახელება, ობიექტის
-------------------------------- მისამართი/ --------------------------------
მიწის ფართობი ------- კვ.მეტრი --------------------------------
/მიწათსარგებლობის ფორმა/
საფუძველი: --------------------------------
-------------------------------- ხელშეკრულება № ---- " " --------------
და მიღება-ჩაბარების აქტი " " --------------------

მოწმობა შედგენილია 3 ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი გადაეცა
-------------------------------- -ს
/მესაკუთრის სახელი, მამის სახელი, გვარი, დასახელება/
მეორე ინახება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში, მესამე – საგადასახადო ინსპექციაში.

მოწმობა ძალაშია ხელშეკრულებასთან და მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად, რომლებიც წარმოადგენენ მოწმობის განუყოფელ ნაწილს.

გაცემულია: 199 წლის " " --------------------

მინისტრი

ბ.ა.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

რესპუბლიკაში შემოსატანი თხევადი გაზის ფასის მნიშვნელოვან გაზრდასთან დაკავშირებით, აგრეთვე თხევადი გაზით მოსახლეობისა და სხვა მომხმარებელთა შეუფერხებელი მომარაგების უზრუნველსაყოფად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვით, დამტკიცდა და შემოღებულ იქნა სამოქმედოდ 1993 წლის 1 მაისიდან თხევადი გაზის სარეალიზაციო ფასი ყველა კატეგორიის მომხმარებელთათვის (მოსახლეობის განსაზღვრულ ნაწილზე მოქმედი შეღავათების გათვალისწინებით).

1993 წლის 1 მაისის მდგომარეობით არსებული თხევადი გაზის ნაშთების გადაფასება მოხდება მოქმედი წესის შესაბამისად და ფასთა სხვაობის თანხა ჩაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში.

ძალადაკარგულად ჩაითვლება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 16 იანვრის №33 დადგენილება.

გაზის დეპარტამენტს „საქგაზს“ 1993 წლის 1 მაისიდან ნება დაერთო არეგულიროს თხევადი გაზის სარეალიზაციო ფასი მასზე შესასყიდი ფასებისა და სხვა დანახარჯების არსებითი ცვლილებებიდან გამომდინარე 20-პროცენტიანი ზღვრული რენტაბელობის გათვალისწინებით.

თხევადი გაზის სარეალიზაციო ფასის რეგულირების თარიღი გამოცხადდება მინისტრთა კაბინეტის დამატებითი დადგენილებით.

გაზის მეურნეობების მიერ მოსახლეობისა და სხვა მომხმარებლებისათვის მისაწოდებელი თხევადი გაზის ფასი (დამატებულ ღირებულებაზე გადასახადის ჩათვლით)

დასახელება	საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე (მანეთი-კუპონი)
ერთი კილოგრამი თხევადი გაზი	115

შენიშვნა: თხევადი გაზის გაცემა აბონენტისათვის ხდება ბალონებითა და ცისტერნებით, ადგილზე ბალონების მიტანითა და სათავსებში ჩასხმით.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის განკარგულებით, მიღებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტის წინადადება, შეთანხმებული საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროსთან, ქალაქ ფოთის მერიასთან, და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 12 მარტის №221 დადგენილების შესრულებისათვის, რესპუბლიკაში იმპორტისა და ექსპორტის განხორციელების უზრუნველსაყოფად, ქალაქ ფოთის საზღვაო ნავსადგურისა და სარკინიგზო კვანძის ფუნქციონირებისა და ფოთის საზღვაო ნავსადგურის სარეკონსტრუქციო სამუშაოებისათვის მომზადების მიზნით, დაწესდა ერთთვიანი ვადა ქალაქ ფოთის საზღვაო ნავსადგურის, ქალაქ ფოთის სარკინიგზო კვანძისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების, აგრეთვე, შესაბამისი სასაწყობო მეურნეობების განთავისუფლებისათვის იქ დაგროვილი ტვირთებისაგან, რომელთა შენახვის ვადაც ამოწურულია... ამასთანავე აიკრძალება იმ ტვირთების შენახვის თაობაზე ხელშეკრულებების გაფორმება ან გაგრძელება, რომელთა შენახვის ვადაც ამოწურულია.

ქალაქ ფოთის საზღვაო ნავსადგურის, ქალაქ ფოთის სარკინიგზო კვანძისა და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე, აგრეთვე შესაბამის სასაწყობო მეურნეობებში დაგროვილი ტვირთების მფლობელებს დაევალათ ერთი თვის ვადაში უზრუნველყონ მათ მფლობელობაში არსებული ტვირთების ზემოთ აღნიშნული ობიექტებიდან გატანა.

საქართველოს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტს დაევალა, ზემოთ აღნიშნული ტვირთების მფლობელების შესაბამისი სურვილის არსებობის შემთხვევაში, დაეხმაროს მათ ტვირთების რეალიზაციაში.

ქალაქ ფოთის მერიას, საზღვაო ნავსადგურისა და სარკინიგზო კვანძის ადმინისტრაციებს დაევალათ, წინამდებარე განკარგულების მესამე პუნქტში დაწესებულ ვადაში ტვირთების მფლობელების მიერ თავიანთი კუთვნილი ტვირთების გატანის შეუსრულებლობის შემთხვევაში, აღძრან სარჩელი საქართველოს რესპუბლიკის სასამართლო ორგანოებში აღნიშნული ტვირთების მფლობელთა მიმართ მათსა და შესაბამისად ქალაქ ფოთის საზღვაო ნავსადგურის, სარკინიგზო კვანძისა და სასაწყობო მეურნეობების ადმინისტრაციებთან არსებული შენახვის ხელშეკრულებების დარღვევის გამო.

ქალაქ ფოთის საზღვაო ნავსადგურისა და სარკინიგზო კვანძის ადმინისტრაციებს დაევალათ უზრუნველყონ დადგენილების მოთხოვნათა თაობაზე წერილობითი შეტყობინებების გაგზავნა აღნიშნული ტვირთების მფლობელებისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგეგმვის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი აღნიშნავს, რომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზირების ჩამოყალიბებულმა პრაქტიკამ ვერ შექმნა ეკონომიკური პროცესების სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმი. ამასთან, საბაზრო ურთიერთობათა პირობებშიც კი ეკონომიკური პროცესების სწორად წარმართვა აუცილებლად საჭიროებს სახელმწიფოებრივ ჩარევას ისეთ საკითხებში, როგორიცაა: ქვეყნის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიისა და სტრუქტურული პოლიტიკის განსაზღვრა; სახელმწიფოებრივი სექტორის ფუნქციონირება; მოსახლეობის სოციალური დაცვა და სახელმწიფო რეზერვების ფორმირება; ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების ანალიზი და პროგნოზირება ისეთი პრობლემების გამოვლენის მიზნით, რომელთა გადაწყვეტა ვერ ხერხდება მხოლოდ თვითრეგულირებით; ეკონომიკურ პროცესებზე სახელმწიფოებრივი ზემოქმედების ყველაზე უფრო ეფექტიანი ფორმებისა და მეთოდების შერჩევა. მატერიალური ნაკადების განსაზღვრა (სახელმწიფო შეკვეთები, კვოტები, ლიცენზიები), საბიუჯეტო ასიგნებებისა და პირველ რიგში საბიუჯეტო კაპიტალურ დაბანდებათა და ცენტრალიზებული სავალუტო რესურსების განაწილება, საფინანსო რეგულირება (გადასახადები, ამორტიზაცია, საკრედიტო რეგულირება, ბაჟი), მიზნობრივი კომპლექსური პროგრამები და ა. შ.

აღნიშნული საკითხები ურთიერთდაკავშირებულია და აუცილებელია გაფორმდეს ერთიანი სამთავრობო დოკუმენტის — საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური გეგმის სახით, რომელიც თვისებრივად განსხვავდება დირექტიული გეგმისაგან და ფართოდ გამოიყენება განვითარებულ საბაზრო მეურნეობის მქონე სახელმწიფოებში.

საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატურ დაგეგმვაზე გადასვლასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა დაადგინა, რომ დაწყებული 1994 წლიდან შემოღებულ იქნეს რესპუბლიკაში ინდიკატური დაგეგმვის სისტემა და პერიოდულად შემუშავდეს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური გეგმა, რომლის კორექტირება ყოველწლიურად მოხდება.

ინდიკატური გეგმის ძირითად მიზნად მიჩნეულ იქნეს: ქვეყნისათვის აუცილებელი და სასურველი სოციალურ-ეკონომიკური მიჯნების განსაზღვრა სამომავლო განვითარების პროგნოზირების საფუძველზე, მთავრობის მიმდინარე და გრძელვადიანი ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბება; პრიორიტეტული მიმართულებების შერჩევა და მათი მიღწევის გზების დასახვა; პირადი საქმიანი აქტივობის მასტიმულირებელი ღონისძიებების შემუშავება დასახული მიჯნების მისაღწევად; კერძო სექტორის აღორძინება-განვითარებისათვის ყოველმხრივი ხელშეწყობა იმ ვარაუდით, რომ იგი საკუთარი და ქვეყნის კეთილდღეობისათვის აქტიურად მონაწილეობდეს სამთავრობო ღონისძიებათა რეალიზაციაში.

ინდიკატური გეგმის მონაცემები, რომელიც აგრეთვე მოიცავს საფინანსო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, ხდება რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის ერთ-ერთი საფუძველი.

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს დაევალა ინდიკატური გეგმების შემუშავების საერთო ხელმძღვანელობა.

დაწესდა, რომ ინდიკატური გეგმა შედგება 3 ნაწილისაგან:

ა) სოციალურ ეკონომიკური განვითარების კონცეფციისაგან, რომელიც მოიცავს:

— ეკონომიკური განვითარების სოციალურ მიზნებს, მოსახლეობის ცხოვრების დონის პარამეტრებს, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის შემოსავლების პოლიტიკას, სოციალური სფეროს განვითარებას, მოხმარების დონეს და ა. შ.;

— საფინანსო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს;

— სტრუქტურულ-ინვესტიციურ პოლიტიკას, სახალხო მეურნეობისა და მრეწველობის ცალკეული დარგების განვითარების პრიორიტეტებს;

— მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, მეცნიერულ კვლევათა და ტექნოლოგიური განვითარების სახელმწიფო პრიორიტეტებს;

— საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკას;

— საწარმოო ძალთა განვითარების მიმართულებებს.

თავისი შინაარსიდან და დანიშნულებიდან გამომდინარე, როგორც წესი, ეს ნაწილი შემუშავდება გრძელვადიანი პერიოდისათვის და იგი შეიძლება არ დაემთხვეს ინდიკატური გეგმის პერიოდს. აქედან გამომდინარე, აუცილებლად ჩაითვალოს გრძელვადიან კონცეფციაში მაჩვენებელთა გარკვეული წრის გამოყოფა საშუალოვადიანი პერიოდისათვის შესაბამისი ინდიკატური გეგმის შესამუშავებლად და მათი ყოველწლიური დაზუსტება წლიური ინდიკატური გეგმის ფარგლებში;

ბ) საპროგნოზო-ანალიზური ნაწილისაგან, რომელიც მოიცავს:

— ეკონომიკის, მისი ცალკეული დარგებისა და სფეროების მდგომარეობისა და სოციალური სიტუაციის კომპლექსურ ანალიზს;

— პროგნოზის დამუშავების სცენარის დასაბუთებას,

— რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსურ მრავალვარიანტულ პროგნოზს;

გ) საგეგმო-მარეგულირებელი ნაწილისაგან, რომელიც მოიცავს სახელმწიფო და სახელმწიფოთაშორისო მიზნობრივ პროგრამებს, რომლებიც ეხება რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს პრობლემებს.

დაწესდა, რომ სახელმწიფო ან სახელმწიფოთაშორის მიზნობრივ პროგრამებს ამუშავებენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ორგანოები, რომელთაც განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი, ხოლო ავტონომიური ფორმირებების, ქალაქებისა და რაიონების მიზნობრივ პროგრამებს ავტონომიურ რესპუბლიკათა მინისტრთა საბჭოები, ქალაქებისა და რაიონების მმართველობის ადგილობრივი ორგანოები, რომლებიც იმავდროულად წარმოადგენენ დამკვეთებს:

— მიზნობრივი პროგრამები მუშავდება შესაბამისი ბიუჯეტების ფორმირების გათვალისწინებით;

— მიზნობრივი პროგრამების შემუშავებისას აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნეს პრიორიტეტი სოციალურ-ეკონომიკური, თავდაცვითი, სამეცნიერო ტექნიკური, ბუნების დაცვისა და სხვა უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაწყვეტაში; საბოლოო კონკრეტული შედეგის და აუცილებელი ეკონომიკური ეფექტის მიღწევა ერთიდან ხუთ წლამდე პერიოდში; ფინანსური, მატერიალური და შრომითი რესურსების შეჯერება; დარგობრივი და რეგიონული ამოცანების შეთანხმებულობა და კომპლექსურობა;

— სახელმწიფო ან სახელმწიფოთაშორისო მიზნობრივი პროგრამები და სხვა სახელმწიფო საჭიროებების ნუსხა მტკიცდება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ და დაფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან იმ არასაბიუჯეტო წყაროებიდან, რომლებიც განკუთვნილია ამ პროგრამების შესასრულებლად და სახელმწიფო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად;

ავტონომიური ფორმირებებას ქალაქებისა და რაიონების მიზნობრივი პროგრამები, აგრეთვე სხვა, მათთვის განკუთვნილი სახელმწიფო საჭიროებების ნუსხა მტკიცდება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ, ავტონომიური ფორმირებების, ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოების წარდგენით და დაფინანსდება შესაბამისი ბიუჯეტებით, აგრეთვე ამ მიზნებისათვის განკუთვნილი არასაბიუჯეტო წყაროებით;

— ყველა სახის მიზნობრივი პროგრამა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ეკონომიკური სტიმულირების შესაბამისი პირობებით;

— სახელმწიფო და სახელმწიფოთაშორისო მიზნობრივი პროგრამების შესრულების ორგანიზაციის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი განსაზღვრავს სახელმწიფო შემკვეთებს, ორგანიზაცია-წარმომადგენლებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ პროგრამების რეალიზაციას როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორის მონაწილეობით;

— სახელმწიფო და სახელმწიფოთაშორისო მიზნობრივი პროგრამების, აგრეთვე სხვა სახელმწიფო საჭიროებების ნუსხის დამტკიცების შემდეგ შემკვეთებს გამოეყოფათ საჭირო ფინანსური სახსრები, მათ შორის ვალუტა, და ისინი ითვლებიან პასუხისმგებლად ამ პროგრამების შესრულებისა და სახელმწიფო საჭიროებების უზრუნველყოფის საქმეში.

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების სახელმწიფო და სახელმწიფოთაშორისო მიზნობრივი პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია მოხდება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 30 მარტის № 264 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

მიზანშეწონილად ჩაითვალა ინდიკატური გეგმის შემდეგ ეტაპებად დამუშავება:

— რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ვითარების ანალიზი;

— რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფციის შემუშავება;

— წინასწარი საპროგნოზო გაანგარიშების განხორციელება და პროგრამების დამუშავება, რომელთა განხორციელებაც უზრუნველყოფს კონცეფციით განსაზღვრულ პარამეტრებზე მაქსიმალურად მიახლოებას;

აღნიშნული პროგრამების რეალიზაციის გათვალისწინებით პროგნოზის საბოლოო ვარიანტების დამუშავება.

ინდიკატური გეგმის შემუშავების აღნიშნული ეტაპების პრაქტიკული რეალიზაცია მოხდება შემდეგი წესის შესაბამისად:

ა) რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი განხორციელდეს ყოველკვარტალურად (მზარდი ჯამით) საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს მოხსენებითი ბარათის სახით და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესაბამისი დადგენილების მიღებით.

ამ მიზნით საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტმა, რესპუბლიკის შესაბამისმა სამინისტროებმა და უწყებებმა, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, ქალაქების მერიებმა და რაიონების გამგეობებმა, ყოველი კვარტალის დამთავრების შემდეგ 30 დღის ვადაში შესაბამისი ინფორმაცია წარუდგინონ საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს;

ბ) მიღებულ იქნეს ცნობად, რომ „საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გრძელვადიანი პროგნოზების დამუშავების ორგანიზაციის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 23 ივნისის № 674 დადგენილებით საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს დავალებული აქვს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონცეფციის პროექტის დამუშავება 1993 წლის პირველ ნახევარში.

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს დაევალა რესპუბლიკის სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, ქალაქების მერიებთან და რაიონების გამგეობებთან ერთად აღნიშნული კონცეფციის ყოველწლიური დაზუსტება, კორექტირება და კონკრეტიზაცია ახალი რეალობების, პირველ რიგში კი დამტკიცებული სახელმწიფო და სახელმწიფოთაშორისო მიზნობრივი პროგრამების გათვალისწინებით.

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონცეფციიდან გამომდინარე, უნდა მოამზადოს რესპუბლიკის ეკონომიკის სტრუქტურული მოდერნიზაციის პროგრამა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან შეთანხმებული წესითა და ვადებში;

გ) საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, ქალაქების მერიებმა და რაიონების გამგეობებმა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფციიდან გამომდინარე ეკონომიკის სამინისტროს მიერ მათი წინადადებების გათვალისწინებით შემუშავებული ფორმებისა და ინდიკატური მაჩვენებლების ნუსხის შესაბამისად, წინასაგეგმო წლის 1 ივლისამდე უნდა წარუდგინონ ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო მეურნეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების წინასწარი საპროგნოზო გაანგარიშებები, დამუშავებული სახელმწიფო პროგრამები და დასამუშავებელ პროგრამათა ნუსხა, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 30 მარტის № 264 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

1994 წლისათვის აღნიშნული დოკუმენტების მომზადებისას ფართოდ იქნება გამოყენებული საქართველოს რესპუბლიკაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების საშუალოვადიანი პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებანი;

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ გაანგარიშებებისა და პროგრამების საფუძველზე ორი თვის ვადაში უნდა დაამუშაოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების წინასწარი საპროგნოზო გაანგარიშებები, პროგრამის პროექტები და წინადადებები ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების შესახებ, წარუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს განსახილველად და ფინანსთა სამინისტროს — ბიუჯეტის შესადგენად;

დ) საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა. ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, ქალაქების მერიებმა და რაიონების გამგეობებმა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებებიდან და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამომდინარე, ერთი თვის ვადაში უნდა დააზუსტონ საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროში წარდგენილი წინასწარი საპროგნოზო გაანგარიშებები და იმავე ფორმებითა და მაჩვენებლებით წარუდგინონ აღნიშნულ სამინისტროს.

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ მიღებული დაზუსტებული გაანგარიშებების საფუძველზე ერთი თვის ვადაში უნდა დაამუშაოს და სამეურნეო წლის დაწყებამდე ერთი თვით ადრე წარუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგნოზი ინდიკატური გეგმის კონცეპტუალურ და საგეგმო-მარეგულირებელ ნაწილებთან ერთად.

დაწესდა, რომ ინდიკატური გეგმების კორექტირება რეალურად შექმნილი ვითარების შესაბამისად ხორციელდება რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს, სხვა სამინისტროებისა და უწყებების მასთან შეთანხმებული წინადადებების საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესაბამისი გადაწყვეტილებებით.

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს დაევალა საზღვარგარეთის ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით რესპუბლიკის სხვა სამინისტროების, უწყებებისა და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების მონაწილეობით დაამუშაოს ინდიკატური გეგმის შედგენისათვის საჭირო მეთოდური და ნორმატიული დოკუმენტები, მაჩვენებლები და ფორმები.

„საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საჭიროებისათვის პროდუქციისა და საქონლის მიწოდების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 30 მარტის № 264 დადგენილების მე-7 პუნქტში ეკონომიკის სამინისტროსათვის მასალის წარმოდგენის ვადა 1 აგვისტოდან შეიცვალა 1 ივლისით.

ექსტრემალური სიტუაცია

ქვემო ქართლში ვითარება ჯერ კიდევ დაძაბულია

7 **მაისს** სვანეთიდან ბოლნისში ჩამოსახლებულთა და ადგილობრივ მოქალაქეთა შორის გამართულ კამათს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება მოჰყვა. დაიღუპა ორი უდანაშაულო პიროვნება.

მეორე დღეს, დაახლოებით დღის ორი საათისათვის, გამოძიებისათვის ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა დაჭრეს კიდევ ორი მოქალაქე. საქართველოს გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის, ვახტანგ გვარამიას თქმით, ოპერატიული მონაცემების თანახმად, აღნიშნული ორი დანაშაული ერთმანეთთან კავშირშია.

8 მაისს, ღამით, ბოლნისის მახლობლად, რაჭისუბანში საკუთარ მანქანაში მოკლეს მარნეულში მცხოვრები, სვანეთიდან ჩამოსახლებული ახალგაზრდა. ბოლო დანაშაულის კავშირი დანარჩენ ორთან ჯერჯერობით დადგენილი არ არის. დღემდე არცერთი დამნაშავე არ დაუკავებიათ.

მკვლელობამ დეტონატორის როლი შეასრულა. ვითარების განმუხტვის მიზნით, ბოლნისში ჩავიდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა და გენერალური პროკურორი თედო ნინიძე.

ბოლნის-დმანისის რაიონებში ბოლოდროინდელი მოვლენებიდან გამომდინარე, ვითარების გართულება მოსალოდნელი იყო. თბილისი-გეგუთის საავტომობილო ტრასაზე მასობრივი ყაჩაღობა, გამოსასყიდის მიღების მიზნით, ბავშვების გატაცება აღნიშნულ რეგიონში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. მოსახლეობა უკეთ შეიარაღდა, ვიდრე რაიონის პოლიცია, სამართალდამცავი ორგანოები ვერ ფლობენ სიტუაციას, და ვერ აკონტროლებენ მას. ჩამოსახლებულთა უმრავლესობა დაუსაქმებელია. საზოგადოებაში დაუსჯელობის სინდრომი გაძლიერდა.

9 მაისს მდგომარეობის ადგილზე გარკვევის მიზნით, სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე ბოლნისსა და დმანისში ჩავიდა. შეხვდა რაიონის ხელმძღვანელებს, ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს.

საქართველოს გენერალური პროკურორის განცხადებით, ქვემო ქართლში სვანეთიდან ჩამოსახლებული მოსახლეობის ადგილობრივ პირობებთან ადაპტაცია რთულად მიმდინარეობს. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ რაიონებში ხელმძღვანელობა უმოქმედოა.

შეხვედრების დროს დაისვა საკითხი ქვემო ქართლში სპეციალური რეგიონალური სამმართველოს შექმნის შესახებ, რომელიც პასუხს აგებს რეგიონში მომხდარ მოვლენებზე.

ბატონ ვახტანგ გვარამიას აზრით, ბოლნისისა და დმანისის რაიონებში დამატებითი ძალების შეყვანაა აუცილებელი. პოლიციას სერიოზული ინფორმაცია აქვს იქ მოქმედი დამნაშავე პირების შესახებ, მაგრამ უძლურია.

საუბრის დროს აღინიშნა, რომ ქვემო ქართლში ვითარების გართულება მესამე ძალის მოქმედების შედეგია. სადაზვერვო-საინფორმაციო სამსახურის უფროსმა, ირაკლი ბათიაშვილმა ბოლომდე არ უარყო ეს ვერსია, მაგრამ ვითარების გამწვავების ძირითად მიზეზად ბანდიტთა ჯგუფების გააქტიურება დაასახელა.

სიტუაციის გამოსწორების მიზნით, შემუშავდა კომპლექსური გეგმა. შეიქმნა საგამოძიებო ბრიგადა გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის ვახტანგ გვარამიას და შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის მიხეილ ოსაძის ხელმძღვანელობით.

დახმარება სამი წლით

თურქეთის კრედიტი — მეწარმეობისა და წარმოების აღორძინებისათვის

60 **მილიონი** ამერიკული დოლარი გამოუყო თურქეთის მთავრობამ ჩვენს რესპუბლიკას.

— ეს კრედიტი გათვალისწინებულია სამი წლისათვის, აცნობა საქინფორმის კორესპონდენტს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნუგზარ დუჩიძემ, — გადაწყვეტილია იგი გამოვიყენოთ წარმოების აღორძინებისა და მეწარმეობის განვითარების, მცირე ბიზნესის მხარდაჭერის მიზნით. მისი ძირითადი ნაწილი უნდა მოხმარდეს ადგილობრივი ნედლეულისა და მასალებისაგან დამზადებული კონკურენტუნარიანი საექსპორტო საქონლის წარმოებისათვის საჭირო ტექნოლოგიური მოწყობილობის შეძენას. მას გამოვიყენებთ აგრეთვე ნედლეულისა და მასალების შესაძენად, რათა უზრუნველვყოთ არსებული საწარმოო სიმძლავრეების სრული დატვირთვა, შევქმნათ ერთობლივი საწარმოები ექსპორტისათვის გათვალისწინებული საქონლის წარმოების მიზნით.

თითოეული კონკრეტული პროექტისა თუ საქონლის შესყიდვის დასაფინანსებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს 5 მილიონი დოლარი, თანაც საქონელი უნდა იყოს თურქული წარმოებისა და, როგორც მინიმუმი, ორმოცდაათი პროცენტით თურქული შემცველობისა. კრედიტი ფარავს საქონლისა და მოწყობილობის საკონტრაქტო ღირებულების 35 პროცენტს, დანარჩენი ნაწილი კი უნდა აანაზღაუროს საქართველოს მხარემ თურქეთიდან საქონლის მიწოდებამდე ან მიწოდების დროს.

უეჭველია, მრავალი ორგანიზაცია, საწარმო და ფირმა გამოიჩენენ კრედიტის მიღების ინტერესს, ამისათვის მათ უნდა მიმართონ საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის კომიტეტის უცხოური ინვესტიციებისა და კრედიტების სამმართველოს მისამართით: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის პროსპექტი 51, საკონტაქტო ტელეფონი — 23-41-34.

საქმიანი შეხვედრები

10 **მაისს**, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო სამხრეთ კორეის საფინანსო-სამრეწველო კომპანიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე სუნ იონ კიმი, რომელმაც საქართველოში ჩამოიტანა ჰუმანური დახმარება — მედიკამენტები.

* * *

იმავე დღეს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამ მიიღო სამხრეთკორეელი ბიზნესმენები. შეხვედრას ესწრებოდნენ ვიცე-პრემიერები ზურაბ კერვალიშვილი და რომან გოცირიძე, კავშირგაბმულობის, ეკონომიკის, სამინისტროებისა და ტურიზმის კომიტეტის ხელმძღვანელები.

* * *

10 **მაისს** მექსიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა რუსეთის ფედერაციაში ბატონმა კარლოს ტელიომ, რომელიც შეთავსებით გახდა აგრეთვე, მექსიკის ელჩი საქართველოში, რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს გადასცა მის რწმუნებათა დამადასტურებელი სიგელები.

* * *

იმავე დღეს ბატონი კარლოს ტელიო მიიღო საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ჩიკვაიძემ.

პოზიცია: ავად გახმაურებული „108-თა მიმართვის“ გამო

მთავარი სხვა არის

გაზეთი „იბერია-სპექტრი“ დაარსების დღიდან შესაშური თავგამოდებით იღვწის, რათა შეუქცევადი გახადოს მრავალი შინაგანი წინააღმდეგობით გატანჯული ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური ნიშნით დანაწევრება-დაქუცმაცების პროცესი და ზოგჯერ საგრძნობ წარმატებასაც აღწევს. ასე მაგალითად, ა. წ. 27 აპრილს გაზეთმა გზა დაულოცა ახალ იდეურ-პოლიტიკურ გაერთიანებას „საქართველოს ჭეშმარიტი ინტელიგენციის“ სახელწოდებით და მკითხველებს მიაწოდა სახელმწიფოს მეთაურისადმი ამ გაერთიანების წარმომადგენელთა მიმართვის ტექსტის ქართულ-რუსული ვარიანტები. ბატონი ი. გოცირიძე და ქალბატონი რ. ვაშაკიძე „მიმართვის ისტორიულ მნიშვნელობას“ უდავოდ მიიჩნევენ. „უდავო“ სადავოდ არც პროგრამა „ვესტის“ და არც მის მრავალრიცხოვან უცხოელ ემისრებს გაუხდიათ და დაუფარავი სიხარულით აუწყეს მსოფლიოს, რომ ედუარდ შევარდნაძეს ქართველი მეცნიერები განუდგნენ.

ასე და ამგვარად, „იბერია-სპექტრის“ იბერიის ფარგლებს გარეთ მოღვაწეობის შედეგად ბევრი ქართველი მეცნიერი, რომელიც გულწრფელად პატივს სცემს ბატონ ედუარდს, ფრიად უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ერთი მხრივ, ყოველ ნორმალურ კაცს (მეცნიერს თუ არამეცნიერს), გასაგები მიზეზების გამო, ეძნელება საჯაროდ გაუმხილოს სახელმწიფოს მეთაურს პირადი სიმპათია და დაწვრილებით აღნუსხოს მისი ეჭვმიუტანელი ღირსებები, მეორე მხრივ, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩვენი აწეწილ-დაწეწილი სახელმწიფოს მეთაურს, ალბათ, როგორც არავის თანამემამულეთა მხარდაჭერა და თანადგომა ესაჭიროება. საბედნიეროდ, ისტორიას ჩაბარდა ის სამარცხვინო დრო, როცა ქვეყნის თავკაცს ხან მოსე წინასწარმეტყველად ნათლავდნენ, ხან მესიად, ზოგჯერ კი ტარიელს უწოდებდნენ და ფრიდონობასა და ავთანდილობას ჰპირდებოდნენ. მაგრამ ნუთუ ასე აუცილებელია ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდნა? ცხადია, ყოველ მოქალაქეს ან მოქალაქეთა ჯგუფს აქვს იურიდიული უფლება გამოთქვას თავისი უარყოფითი აზრი ამა თუ იმ სახელმწიფო მოღვაწეზე, ან უფრო მეტიც — პოლიტიკოსად არ ცნოს კაცი, რომელსაც სახელგანთქმულმა ჰარვარდის უნივერსიტეტმა და უცხოეთის კიდევ რამდენიმე პრესტიჟულმა უმაღლესმა სასწავლებელმა სწორედ პოლიტიკაში დიდი დამსახურებისათვის მიანიჭა საპატიო დოქტორისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა პროფესორის წოდება, მაგრამ არავის აქვს ზნეობრივი უფლება, რომ საკუთარი შეხედულებანი, პირდაპირ თუ შეფარვით; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიაწეროს.

სამწუხაროა, რომ ზოგი ჩვენი კოლეგა გაბმული აღმოჩნდა „იბერია-სპექტრის“ მიერ ოსტატურად დაგებულ მახეში. გაზეთის მესვეურებს კარგად მოეხსენებათ, რომ „ცოდვით დაბევება სულის — ადვილია“ და ალბათ, დიდხანს არ იტყვიან უარს კეთილშობილი, მაგრამ ზედმეტად გულუბრყვილო ადამიანების სულების ცთუნების იოლ მეთოდზე. ამიტომ იქნებ არ იყოს ზედმეტი მისი ახსნა, თუ რა ღირებულებისაა გაზეთის მიერ გაცემული „საქართველოს ჭეშმარიტი ინტელიგენტის“ ბრჭყვიალა დიპლომები.

დიდი ხნით ადრე, სანამ საქართველოში უაზრო დავა ატყდებოდა ინტელიგენტის ცნების გარშემო, ჩვენმა სასიქადულო ნოდარ დუმბაძემ ბრძანა — „ინტელიგენტი იყო ბაბუაჩემი, რომელიც სტუმრად მოსულ ბავშვს ფეხზე ამდგარი ეგებებოდაო“. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, დღემდე არავის შეუტანია ეჭვი ამ ხატოვანი ნათქვამის სიზუსტეში. მართლაც და, განა ინტელიგენტს, უპირველეს ყოვლისა, არ მოეთხოვება ბავშვებთან ფაქიზი დამოკიდებულება? ვინც ამ მოსაზრებას იზიარებს, უთუოდ შეძრწუნდება, როცა „იბერია-სპექტრის“ ა. წ. 4 მაისის ნომრის მე-15 გვერდზე გამოქვეყნებულ ერთი მეშვიდეკლასელი ბიჭუნას წერილს წაიკითხავს და რედაქტორის კომენტარსაც გაეცნობა. განა შეიძლება კაცმა ჟურნალისტისაგან წარმოიდგინოს ცამეტიოდე წლის უცოდველი ყმაწვილის ბინძურ პოლიტიკურ თამაშში ჩათრევის მცდელობაზე უფრო არაინტელიგენტური და უზნეო საქციელი?

ასეთი გზით იქნებ მართლაც შეიძლება იაფფასიანი პოპულარობის გახანგრძლივება, მაგრამ განა ეს არის მთავარი? თავს ნებას მივცემთ ბატონ ი. გოცირიძეს მოვაგონოთ ჩვენგან უდროოდ წასული ნათელი კაცის სიტყვები — „მთავარი სხვა არის. მთავარია, ადამიანებს რაც შეიძლება დიდხანს შევუნარჩუნოთ სამყაროს საოცრება — სიკეთის შუქი თვალებში“.

ჯუმბერ ლომინაძე,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,

ივანე კილურაძე,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

მხოლოდ ზიანის მომტანი

„**იბერია-სპექტრის**“ სკანდალურ გამოხდომაზე („მიმართვა ბ-ნ შევარდნაძეს“, 27 აპრილი-3 მაისი, 1993 წ.) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ათი თანამშრომელიც აწერს ხელს. ამ ვითომდა სერიოზული პოლიტიკური კონფრონტაციის საბურველი იმდენად გამჭვირვალეა, რომ ჩვენი ქვეყნისათვის უფრო სტაბილურ ვითარებაში საერთოდ არც იქნებოდა რეაგირების ღირსი. მაგრამ, ჩვენს სიტუაციაში, სრულიად გარკვეულ ადრესატზე ეფექტის მოსახდენად გამიზნულმა ამ „ორენოვანმა დემარშმა“ (რასაც უბრალო, ყოველდღიურ მეტყველებაში ქვეყნის ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაცია და ელემენტარული მაბეზღრობა დაერქმეოდა), ბუნებრივია, ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს მხრიდან მოქალაქეობრივი პოზიციის გამოხატვის აუცილებლობა წარმოშვა.

ჩვენ გულწრფელად გვიკვირს, რომ მიუხედავად ხელისუფლების „ოპონენტების“ მიერ ესოდენ ნასათუთევი დიდი ხნის ბოლმისა და სიძულვილისა, ისინი მაინც ვერ ხედავენ, რომ ასეთ საქციელს მხოლოდ და მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია იმ ქვეყნისათვის, რომლის თავგამოდებულ, მგზნებარე პატრიოტებადაც მოაქვთ თავი და რომლის ახლანდელი კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლის გზების გამონახვა სწორედ ხალხის მიერ არჩეულ იმ პიროვნებას ხელეწიფება, რომლის დამცირებასაც ასეთი ღვარძლითა და გამეტებით, სრულიად უსაფუძვლოდ და უპასუხისმგებლოდ ცდილობენ. ამავე დროს, მათ „აქციას“ ერთგვარ კომიკურ ელფერს სძენს ის, რომ ასეთი ზარ-ზეიმით გაცხადებული „პროტესტის“ ხელისმომწერნი არც ოდენობრივი და არც პროფესიული მონაცემებით არ ქმნიან ფაკულტეტის სახეს და ამდენად ვერ გამოხატავენ ვერც ჩვენი ფაკულტეტისა და ვერც საერთოდ უნივერსიტეტის პოზიციას.

სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებას მხარს უჭერს საბჭოს წევრი და 170 თანამშრომელი.

თსუ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭო

„საქართველოს ოპოზიციისათვის არ სცალია"

მიუხედავად ჩემი, არცთუ ისე ახალგაზრდული ასაკისა, პირველად ვწერ გამოხმაურებას წერილზე. კალამი ალბათ იმან ამაღებინა ხელში, რომ თითქმის მთლიანად ვიზიარებ აზრს, რომელიც ბ-ნმა ნოდარ ლომოურმა გამოთქვა წერილში „საქართველოს ოპოზიციისათვის არ სცალია" („საქართველოს რესპუბლიკა", 17.04.93 წ.), ჩემზე ასევე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე ნათქვამმა მწარე სიმართლემ.

საზოგადოებაშიც და ჩემშიც გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ პარლამენტი ფაქტობრივად აღებული აქვთ ერთი და იგივე ხალხს, რაღაც ოპოზიციის მსგავს უმცირესობას, რომლებიც ერთ სხდომაზე 2-3-ჯერ ახერხებენ მიკროფონთან მისვლას და სიტუაციის დაძაბვას. შემინდოს ღმერთმა, მაგრამ არ შემიძლია არ ვთქვა, რომ ზოგიერთი ჩვენი პარლამენტარი პირდაპირ ასოციაციას იწვევს ზოგიერთ რუს პარლამენტართან, რომელთა მიმართაც საქართველოს უკიდურესად უარყოფითი დამოკიდებულება აქვს. გაუგებარია, რომ მცირედი გამონაკლისის გარდა, პარლამენტის წევრთა დიდი უმრავლესობა გაჩუმებულია. ბატონო მდუმარე პარლამენტარებო, ამოიღეთ ხმა, ან პარლამენტში ასეთ ყოფნას რა აზრი აქვს. სწორედ თქვენი სიჩუმის გამო გაუჩნდა ზოგიერთს უპირატესობის შეგრძნება.

მე სავსებით ვიზიარებ ბატონი ნოდარის იმ მოსაზრებასაც, რომ გაცილებით ძნელია კანონშემოქმედება, ვინემ მინისტრთა დაკითხვები. ერთი გონივრული საკანონმდებლო მუხლის ჩამოყალიბებას ცოდნა, გამოცდილება და ინტელექტი სჭირდება. მთელი სამყაროსათვის პასუხისმგებლობაზე გაცილებით ძნელია კონკრეტული პასუხისმგებლობა, ვთქვათ დარგო და გაახარო ერთი ხე. საკაცობრიო გზა კონკრეტულ საქმეებზე გადის, იმაზე, რისთვისაც შენი სახელის დარქმევა შეგიძლია. პირდაპირ ვიტყვი, არასდროს არ მჯეროდა იმ ხალხისა, ვისაც არ დაუხატავს, ვისაც არ დაუთესავს, ვისაც არ გამოუკვლევია, ვისაც არ აუგია, ვისაც არ განუკურნავს და პირდაპირ ერის მედროშედ მოგვევლინა. იქნებ სწორედ ეს არის ზოგიერთის მხრივ პოლიტიკურ მოღვაწეობაზე გაიგივებული წარმოდგენის მიზეზი. პოლიტიკურ მოღვაწეს ისეთივე, ზეციური, ღვთით ნაბოძები და განსაკუთრებული ნიჭი სჭირდება, როგორც მუსიკოსს, მხატვარს, მსახიობს, მეცნიერს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ თუ მუსიკოსის ან მხატვრის ნიჭს პირობითად ერთად მივიღებთ, პოლიტიკური მოღვაწე 10 განსხვავებულ ნიჭს მაინც უნდა ფლობდეს. ამ ნიჭთა შორის მე უპირველეს ადგილს სიტუაციისა და დროის ალღოს ნიჭს დავაყენებდი, რა დროს და როგორ უნდა ითქვას ესა თუ ის პრობლემა. პოლიტიკოსი დროის ფაქტორს არა თუ დღეების, არამედ საათების სიზუსტით უნდა გრძნობდეს, გრძნობდეს იმას, რომ ხვალის სათქმელი დღეს არ წამოსცდეს და პირიქით.

ახლა, რაც შეეხება „როგორს". ჩემი აზრით, პარლამენტარის ენა ევფემიზმის ენაა და არა სიმკვეთრისა, რა თქმა უნდა, არ გამოვრიცხავ სიმკვეთრესაც, მაგრამ სიმკვეთრეს ფასი აქვს საერთო თავდაჭერილობის ფონზე, სხვანაირად, სიმკვეთრე, როგორც „ცხოვრების წესი", პირდაპირ ემიჯნება უტაქტობას.

ბატონი ნოდარი აჭარის საკითხსაც შეეხო. თუ აკვირდებით, როგორ „ზრუნავს" და როგორ ცდილობს რუსეთის აგიტაცია აჭარის ჩართვას საქართველოს შიდა კონფლიქტში, მიუხედავად ამისა, აჭარაში სასურველი სიმშვიდეა. ესაა დღეს საქართველოსათვის უმთავრესზე უმთავრესი და აჭარის შორსმჭვრეტელობაც, და არა ის, ვინ როგორ დაიკმაყოფილებს საკუთარ ამბიციებს, რომელიც როგორც წესი, სამართლიანობისა და დემოკრატიის ლოზუნგებითაა შეფარული.

ოფიციალური ხელისუფლების მდგომარეობა ყოველთვის გაცილებით უფრო რთული და წამგებიანია, ვინემ ოპოზიციისა, რომელსაც რაიმე კონკრეტული პასუხისმგებლობა არ აკისრია. საბედნიეროდ, ამჟამად ადამიანები გაცილებით უფრო კრიტიკულნი არიან, ვინემ, თუნდაც 2 წლის წინათ და ხვდებიან, რომ დღეს მდგომარეობის გამოსწორება არა იმდენად იმაზეა დამოკიდებული, რა პოტენციის ადამიანს უკავია ამა თუ იმ მინისტრის სავარძელი; არამედ საერთო პოლიტიკურ ფონზე, რომლის გაუმჯობესება არ არის დამოკიდებული მხოლოდ საქართველოზე, ეს ოპოზიციამაც კარგად იცის, მაგრამ დრო და დრო მაინც შემოაგდებს მთავრობის ნდობის საკითხს, ვინძლო გამწარებული ხალხი აიყოლიოს. ამდაგვარი თამაში, ასეთი საერთო პოლიტიკური ფონის პირობებში, რბილად რომ ვთქვათ, არაკეთილსინდისიერებაა.

და, ბოლოს, არ ვიცი, რა გავლენა ექნება რეფერენდუმის შედეგებს რუსეთის მომავალზე, მაგრამ რუსეთის ინტელიგენციის, ხელოვნების მოღვაწეების, პრესისა და ტელევიზიის მხრივ, პრეზიდენტ ელცინისათვის მხარდაჭერის კამპანია ნამდვილად სამაგალითოა. მივმართავ ჩვენს ინტელიგენციას, ხელოვნებს, ნუ ჩათვლით დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას დამთავრებულად, ბრძოლა მხოლოდ ახალ ფაზაში შევიდა. მდგომარეობა კვლავ რთულია და ყველაფერს გადაწყვეტს ერთიანობა და ხალხის ხელისუფლებისადმი აქტიური მხარდაჭერა.

დღეს საქართველოს ოპოზიციისათვის მართლაც რომ არ სცალია.

ვახტანგ დავითაია.

სარედაქციო ფოსტიდან

რამდენიც კაცია, იმდენი აზრია

გაერთიანების მოწოდება თუ დაჰყავი და იბატონე?

წავიკითხე ბატონ ალექსანდრე ფოცხიშვილის მიმართვა ცოტნე დადიანის შთამომავლებისადმი (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 17.03.93), რომელმაც შემძრა.

ავტორის აზრით, თურმე მხოლოდ „ერთი მუჭა ქართველებისა" და მთელი სამეგრელოს „განდგომა" (სხვა ადგილას კი წერს ათასიოდე „განდგომილ" მეგრელზე) მოჰყოლია გამსახურდიას ხელისუფლების დაცემას, ამასთან, ამ „ურჩი" სამეგრელოს „შვილების ერთი ჯგუფი" ძარცვავს ქართველ მეომართათვის განკუთვნილ ვაგონებს, ხოლო დანარჩენი მეგრელები გულგრილად შესცქერიან ამას. ბატონი პროფესორის დასკვნით, ზვიადისტები მხოლოდ მეგრელები არიან, დანარჩენი ქართველები კი — ანტიზვიადისტები, ხოლო „ერთ მუჭა" ქართველ ზვიადისტებს „ჩვენ კარგად მოვუვლითო", წერს.

თუკი ავტორს დავუჯერებთ, ის ადრე ამაოდ გაჰყვიროდა, რომ კახელები და გურულები არ ჩაიგზავნონ „ამბოხებული" მეგრელების დასაწყნარებლად (სინამდვილეში კი ის „ამბოხება" აიხსნება შორეულ და ტყიან სამეგრელო-აფხაზეთში ზვიადისტების თავმოყრითა და „მხედრიონისა" და გვარდიის ერთი ნაწილის სამარცხვინო ლაშქრობებით, რასაც ბევრი ადგილობრივი ანტიზვიადისტიც ემსხვერპლა, ხოლო მათი ჭირისუფლები და მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ზვიადისტებად „აქცია").

ამჟამად პროფესორს ერთ-ერთ გამოსავლად მიაჩნია: „შევკრიბოთ ლაშქარი (ქართველთა — ბ. გ.) და ვებრძოლოთ ჯერ გამდგარ მეგრელებს, მერე კი აფხაზ სეპარატისტებსო". ვერც ქართველმა ყიზილბაშებმა გაარჩიეს მეგრელი აფხაზისაგან: „ეგრი მშვიდი კოლხი მოდგალით", დღესაც იგონებენ ზუგდიდელები ამ ქალაქში არარსებული რკინიგზის „დამცველი" ლიხთამერი მეომრის მოარულ ფრაზას. „ამოწყდეს კოლხთა (ხალიბთა) ჯიში რკინის იარაღის გამოგონებისათვისო" — ეს უკვე ვერგილიუსის (I ს.), მიერ არის ნათქვამი. რას იზამ, ამაყ, მეომარ კოლხს დღეს უკვე „დანარჩენი მუჭა" ქართველების მიერ გამოგზავნილი იბერიელი კლავს და ჭყლეტს კალაშნიკოვითა და ტანკით.

ის, რომ „მეგრელ გამსახურდიას" მხარს უჭერს „ეტნიჩესკაია გრუპპა მინგრელცევ", რომელთაც დემოკრატია „ლობიოს ჭამა" ჰგონიათ, ალ. ფოცხიშვილის მსგავს შეგონებამდე ითქვა უფრო მაღალი ტრიბუნებიდან. ასეთ სიტყვებს კუთხური დაპირისპირება და საეგზეკუციო რაზმების დაკომპლექტება მოჰყვა. შედეგი: ათასობით მოკლული და გაუბედურებული ოჯახები და მათი ნათესაობა — განა მარტო მთელი სამეგრელო, რომელსაც დღეს მაოხრებელნი შერიგებას თხოვენ...

როგორც ცნობილი გახდა, აფხაზთა ბოლო შემოტევის დროს, სოხუმის ფრონტზე 80 პროცენტი ადგილობრივი (უმეტესობა მეგრელი), ხოლო ოჩამჩირის ფრონტზე კი 70 პროცენტი ადგილობრივი (აქაც აბსოლუტური უმრავლესობა მეგრელი) იბრძოდა. ამიტომ არ ვიზიარებ ფოცხიშვილისეულ აზრს მეგრელ მძარცველთა შესახებ. სოხუმელთათვის განკუთვნილი ჰუმანური დახმარება ზუგდიდსა და ჰაერში რომ ქრება, ესეც მეგრელი მძარცველების დონეზე კეთდება? არადა, დღეს საუბარი უნდა იყოს არა მეგრელ მძარცველზე, არამედ გაძარცვულ სამეგრელოსა და სახელმწიფო ბიუჯეტზე.

ავტორმა დიდი ქართველი მოღვაწენი დაუპირისპირა დიდ მეგრელებს... მისი აზრით, რადგან მეგრელი ვერ ჰგუობს დღევანდელ მთავრობას, ის უარყოფს ილიას, აკაკის, რუსთაველსაც... ამ ლოგიკით ბატონი ალ. ფოცხიშვილი უნდა უარყოფდეს პირველ ქართველ მეფეს — კოლხ აიეტს, IV საუკუნის ფოთის აკადემიას, გელათის (ადრე ესეც კოლხეთი იყო) აკადემიას, კოლხურ მედიცინას, მეღვინეობას, კარტოგრაფიასა და მელითონეობას...

რაც შეეხება მეგრელთაგან იმის „გასიგრძეგანებას", რომ საჭიროა ბრძოლა საქართველოს მთლიანობისათვის, დამოუკიდებლობისათვის, ავტორს შევახსენებთ, რომ ეს ბრძოლა მ. კოსტავამ და ზ. გამსახურდიამ წამოიწყეს. 9 აპრილიც „მეგრულ გარემოში" იშვა, როცა ლიხნის 1989 წ. 18 მარტის მიმართვის საწინააღმდეგოდ პირველი აქციები აფხაზეთ-სამეგრელოში ჩატარდა. შემთხვევით როდი გააერთიანეს კოლხეთის (ეგრის-აფხაზეთის) მეფეებმა საქართველო, რაც გაიმეორა ჭყონდიდელის აღზრდილმა დავით აღმაშენებელმა, შემთხვევით როდი მიმართა ეგრისის უძლიერესმა მეფემ ქუჯიმ ფარნავაზს: — შენ იმეფე და მე დაგმორჩილდებიო.

სამეგრელო, ეგზომ შეურაცხყოფილი თვისტომთაგან, კვლავ რჩება თითქმის ერთადერთ, სუფთა ქართულ კუთხედ, ქართული თვითშეგნებით. ასე იყო ადრეც და ასე იქნება მომავალშიც.

ბადრი გოგია,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ასპირანტი.

ჰონორარი გადაირიცხოს თავდაცვის ფონდში.

მძიმე მისია იკისრა...

ბატონო რედაქტორო!

თქვენი გაზეთის პუბლიკაციამ „პრეზიდენტი კოშმარული ოპერეტიდან, ანუ სატანის აგენტი საქართველოში" (20-27/III-93 წ.) ჩვენი ცნობილი მწერალი კიტა ბუაჩიძე ერთხელ კიდევ წარმოაჩინა, როგორც პირუთვნელი მამულიშვილი, რომელმაც ჩვეული პირდაპირობით და დიდი ოსტატობით დაარქვა საოცრად მიგნებული სახელი ყველაფერ იმას, რაც კარგა ხანია, უსახელო იყო.

დარწმუნებული ვართ, რომ ამ წერილს მართლაც გამოუჩნდება ღირსეული შემფასებელი და არა ისეთი, როგორიც ბატონი წიფურიაა. მადლობა ღმერთს, რომ საქართველოში ყველა არ აკვირდება გაზეთში გამოცხადებულ ჩვენი გმირი ბიჭების გვარებს მხოლოდ იმისთვის, რომ საქართველოს რომელიმე კუთხის მეტი ან ნაკლები ქულა დაიწეროს. ჩვენთვის ისინი ქართველი ბიჭები არიან — „ღიმილის ბიჭები" და არა მეგრელები და კახელები, რაჭველები და გურულები... რატომ მაშინ არ დააკვირდა მისთვის საინტერესო გვარებს ბატონი წიფურია, როცა კიტა ბუაჩიძემ უშურველად გაიღო თავისი, შეიძლება უკანასკნელი გროშებიც კი ამ გვარების წარმომადგენლებისათვის. მას არასოდეს დაუყვია ქართველები კუთხეების მიხედვით.

საინტერესოა, რატომ მაშინ არ შეწუხდა ბატონი ბორისი, როცა ყოფილი პრეზიდენტის რუპორმა გურამ პეტრიაშვილმა ლამის მიწიდან ამოიღო კოტე მარჯანიშვილი? იქნებ ეგონა, მთაწმინდაზე გადასასვენებლად თხრიდა საფლავიდან დიდ რეჟისორს პატარა არტისტი. ან მაშინ, როცა ჩვენს სასიქადულო ლიანა ისაკაძეს სამშობლო დაატოვებინა, ელდარ შენგელაიას და თენგიზ სიგუას მანქანის ნაწილებით ვაჭრობაც არაფრად ჩაუგდია, როგორც ჩანს.

რაც შეეხება ნუგზარ შარიას მიერ გამართულ ეგრეთ წოდებულ სოლო კონცერტს (ჩვენში რომ იტყვიან, ცირკი იყოო), ვერ წარმომიდგენია, სხვა ვინმე ისე გასძღოლოდა, როგორც ბატონი წიფურია. დიახ, წიფურია უნდა გასძღოლოდა იმ კონცერტს და არა ოთარ მეღვინეთუხუცესი ან გიორგი გეგეჭკორი.

არა გვგონია, ბატონ ბორის წიფურიას ერის ჭრილობა ადარდებდეს. თორემ მაშინ მიხვდებოდა, რომ სწორედ გააფხაზებული ქართველები, თვითონ რომ მეგრელებს ეძახის, აორმაგებენ და აწყლულებენ ამ ჭრილობას.

ვინ დააწიოკა და წაჰკიდა ერთმანეთს თითქმის მთელი საქართველო, ვინ არის „შემოქმედი" ერში გაჩენილი ბზარის, ვინ არის ბინძური ბრალდებების შეთხზვის ოსტატი — სწორედ მწერლის მახვილმა კალამმა უნდა ამხილოს იგი. ეს მძიმე მისია იკისრა კიტა ბუაჩიძემ.

ბატონი კიტას ზემოხსენებული წერილი მატიანეა ჩვენი ყველაზე შავბნელი დღეებისა „ქართველითა ქართველის დამთრგუნველი", დაწყევლილი დღეებისა. ნათქვამია, „წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო". ბატონი კიტა ბუაჩიძის წერილი დარჩება შთამომავლობას, ბინძური ლაქები კი ჟამთა სვლას ვერ უძლებენ და უფერულდებიან.

მედეა ქარციძე, №18 ბავშვთა პოლიკლინიკის მთავარი ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი; **თინა ბარსევანიშვილი,** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი; **გიული ფოფხაძე,** მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი; **დარეჯან ქარციძე, ნანა მედულაშვილი, ქეთინო კურცხალია, ლალი ტყეშელაშვილი, მანანა ჭკუასელი, ნუნუ ჩხეიძე,** ექიმები.

მიწა უხმობს მშრომელებს

ომია საქართველოში.. უჭირს მოსახლეობას და ამ პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საგაზაფხულო სამუშაოების ორგანიზებულად ჩატარება. არც ერთი მტკაველი მიწა არ უნდა დარჩეს მოუხნავ-დაუთესავი. ეს კარგად ესმით თელავის რაიონის მშრომელებს, რომლებიც მასობრივად არიან გასული მინდვრებსა და ზვრებში.

რაიონის სოფლის მცხოვრებთ აქ კარგა ხანია გაუზარდეს საკარმიდამო ნაკვეთები, ახლა კი მიმდინარეობს ქალაქის მცხოვრებთათვის დადგენილი ნორმის ფარგლებში მიწების მიცემა. როგორც ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში რაიონის მიწათმომწყობმა სანდრო მეგუთნიშვილმა აღნიშნა, კერძო სექტორის მფლობელობაში უკვე გადასულია 14214 ჰექტარი ფართობი. დანარჩენი ნაკვეთები გაიცემა ქალაქის მოსახლეობაზე. ამან ხელი უნდა შეუწყოს დოვლათის ზრდას და მოსახლეობის ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას.

თენგიზ არჯევანიძე.

ყველამ თავისი საქმე აკეთოს

ქაღალდის სიძვირის, გაზეთის ბეჭდვისა და სხვა ხარჯების მიუხედავად, ისევ სოკოსავით მრავლდებიან ჟურნალ-გაზეთები, ახლა, ვისაც არ ეზარება, ყველა ხელს ჰკიდებს ამ საქმეს, სულერთია, რა პროფესიის ადამიანები არიან ისინი, ოღონდ სპონსორი იპოვონ...

ეს მედლის ერთი მხარეა.

მეორე და მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ შინაარსობრივად უფერულმა და უგემოვნოდ გაფორმებულმა გაზეთებმა საკმაოდ დაღი დაასვეს პრესის ავტორიტეტს.

ხელში აიღებთ ზოგიერთ გამოცემას და თვალნათლივ ხედავთ, რომ მათ არ აქვთ აზრობრივი დატვირთვა, ჟანრობრივი მრავალფეროვნება, გარეგნული იერსახე, ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ უგულვებელყოფილია ქართული ჟურნალისტიკის მდიდარი ტრადიციები.

ჩვენი მიზანი სულაც არ არის დღევანდელი ნაბეჭდი ორგანოების კონკრეტული განხილვა, არამედ შეხსენებაა იმ უდავო ჭეშმარიტებისა, რომ მათი პროფესიული დონე უნდა აკმაყოფილებდეს მკითხველთა ფართო ინტერესებს, ნათლად გამოხატავდეს კოლექტივის პოზიციას, მკვეთრად გვაგრძნობინებდეს თემატიკის აქტუალობასა და მიზანდასახულობას.

ამ მოთხოვნაში ყურადსაღებია ჟურნალ-გაზეთების გარეგნული მიმზიდველობაც. არადა, გემოვნებით ილუსტრირებული, სხვადასხვა ზომით, შრიფტით, სათაურებით აწყობილი და თემატურად განაწილებული მასალები აცოცხლებს და შთამბეჭდავს ხდის გამოცემებს. მაგრამ, სამწუხაროდ ხშირად პირიქით არის. მრავალრიცხოვან წერილებში არცერთი ფოტოსურათი, ნახატი, თუ მხატვრული შტრიხი არ ჰპანებს. ამის მაგალითები კი ბევრია. თუმც მაინც დამახასიათებლად მიგვაჩნია კერძო პირთა მრავალგვერდიანი ყოველდღიური გაზეთი, რომელშიც საერთოდ უგულვებელყოფილია გაფორმება.

ან როგორ გავიგოთ ერთი სარეკლამო განცხადების შინაარსი, რომელიც პასუხისმგებელი მდივნის თანამდებობაზე სამუშაოდ იწვევდა ოფისთან ახლო მცხოვრებ ჟურნალისტს. და თუ ასეთი სპეციალისტი არ გამოჩნდებოდა, მაშინ ალბათ ტერიტორიული სიახლოვის გამო მიიღებდნენ თანამშრომელს, რომელიც სისტემატურად და დაუგვიანებლად ივლიდა სამსახურში. ეს სხვა არაფერია, თუ არა კვალიფიციური მუშაკების დაუფასებლობა.

ამიტომ არის, რომ ათეულ ათასობით გაუყიდავი ჟურნალ-გაზეთების ნომრები აწყვია ჯიხურებსა და საწყობებში. ვის კისერზეა ამდენი შრომა და ზარალი? ეს კი განსაკუთრებით მოუთმენელია ახლა ქაღალდის დეფიციტისა და სიძვირის პირობებში.

ალბათ, დადგა დრო შეიქმნას ისეთი მაკოორდინებელი მექანიზმი, რომელიც წესრიგს დაამყარებს პრესის ორგანოებში.

ჟურნალ-გაზეთების შექმნა-გამოცემა დიდი ხელოვნებაა. ნუ ჩავუგდებთ ხელში მათ არაპროფესიონალებს, იოლი გზით მოსიარულეებს. საქართველოში ბევრი გამოცდილი და ახალგაზრდა ნიჭიერი ჟურნალისტია და მივცეთ მათ საშუალება აკეთონ თავიანთი პროფესიული საქმე.

ფარსადან თოფურია,
საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი.

იმედი გვაქვს...

ზამთარმა გვიან, მაგრამ მაინც დაუთმო ასპარეზი გაზაფხულს. აბა, კარგი ბიჭი ხარ და დროზე ნუ მიხედავ მშობელ, გამომკვებავ დედამიწას, რომელზეც დიდად არის დამოკიდებული, როგორც მთელი რესპუბლიკის, ისე ჩვენი საკუთარი ოჯახების დაპურება და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით მომარაგება.

ყოველივე ამისთვის კი დიდი მნიშვნელობა აქვს ტრანსპორტს, კერძოდ, რკინიგზას, რომლითაც მომსახურება ერთნაირად ესაჭიროება როგორც გლეხს, ისე ინტელიგენტს — ქალაქელი იქნება ის თუ სოფლელი. ქალაქი ხომ უსოფლოდ არ ვარგა და პირიქით...

ამიტომ კარგი იქნება, თუ რკინიგზის ხელმძღვანელობა გაითვალისწინებს ამ მხრივ ჩვენს მძიმე მდგომარეობას და დასავლეთის მიმართულებით კვირაში სამ დღეს — პარასკევს, შაბათს და კვირას გამოჰყოფს მატარებლის რომელიმე შემადგენლობას და დააწესებს მისი მოძრაობის გრაფიკს ყველასათვის მოსახერხებელი დროით — დღის 14 საათიდან 16 საათამდე შუალედებში.

იმედი გვაქვს რომ რკინიგზა, ამ მძიმე ეკონომიკურ პირობებში თხოვნას შეგვისრულებს, რადგან ეს არის საერთო, საზოგადოებრივი საქმე.

თენგიზ თომაძე,
საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

აღნიშნეს გამარჯვების დღე

კვირას რუსეთში და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ქვეყნებში აღინიშნა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღე. მოსკოვში ჩამოვიდნენ ვეტერანები ბევრი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკიდან, რათა კიდევ ერთხელ შეხვედროდნენ თანამებრძოლებს, პატივი მიეგოთ ომში დაღუპულთა ხსოვნისათვის და გულითადად მისალმებოდნენ დედაქალაქის მაცხოვრებლებს. მოსკოვში კრემლის კედელთან უცნობი ჯარისკაცის საფლავი გვირგვინებით შეამკეს პრეზიდენტმა ბორის ელცინმა და პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ჩერნომირდინმა, მოგვიანებით ვიცე-პრეზიდენტმა ალექსანდრე რუცკოიმ, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ რუსლან ხასბულატოვმა და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ ვალერი ზორკინმა. დღესასწაულის ცენტრი გახდა „პოკლონნაია გორა", სადაც აგებენ გამარჯვების მემორიალს. აქ მოეწყო მეორე მსოფლიო ომის დროინდელი სამხედრო ტექნიკის გამოფენა, გაიმართა სადღესასწაულო კონცერტი. იმავე დღეს ოპოზიციამ მოსკოვში გამართა მიტინგი მთავრობის საწინააღმდეგო ლოზუნგებით. მიტინგმა და მსვლელობამ მშვიდობიან ვითარებაში ჩაიარა, არავითარ ექსცესებს არ ჰქონია ადგილი.

„დამოკიდებულია რუსეთთან ურთიერთობაზე..."

მოსკოვის რადიომ გადმოსცა საქართველოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის რადიოინტერვიუს შინაარსი, მისი სიტყვები, რომ მოსკოვში მომავალი 14 მაისის შეხვედრა რუსეთის პრეზიდენტთან ბორის ელცინთან სათავეს დაუდებს ორ ქვეყანას შორის ახალ, თანასწორუფლებიან და კეთილმეზობლურ ურთიერთობას. ედუარდ შევარდნაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს საშინაო საქმეების უმრავლესი პრობლემის გადაწყვეტა დამოკიდებულია რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებაზე.

ინფლაციის დონე მკვეთრად დაიწევს

რუსეთის ვიცე-პრემიერმა ანატოლი ჩუბაისმა განაცხადა, რომ რუსეთში ინფლაციის დონე წლის ბოლოსათვის თვეში 4 პროცენტამდე დაეცემა, თუ დაუყოვნებლივ მიღებული იქნება რეფორმების რეგულირების ეფექტური ღონისძიებები. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამასწინანდელ რეფერენდუმზე რუსეთის ხალხმა აშკარად დაუჭირა მხარი რეფორმებს.

დაირღვა შეთანხმება

მიუხედავად ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღებული შეთანხმებისა, ბოსნიის ქალაქ მოსტარში (სარაევოს სამხრეთით) გაჩაღდა ცხარე ბრძოლები ხორვატებისა და მუსულმანების ფორმირებებს შორის. გაეროს წარმომადგენლის ცნობით ხორვატებმა პირველებმა შეუტიეს მუსულმანებს. სარაევოში კი ღამემ მშვიდად ჩაიარა. საერთაშორისო შუამავალმა და სამშვიდობო გეგმის ერთ-ერთმა ავტორმა ლორდმა ოუენმა განაცხადა, რომ სამხედრო ძალით ომის ბედს ბოსნია-ჰერცეგოვინაში ვერ გადაწყვეტენ. მან განმარტა, რომ ეს ეხება ამერიკის შეერთებული შტატების გეგმას საჰაერო დარტყმები მიაყენოს ბოსნიელი სერბების პოზიციებს, რომლებმაც ჯერჯერობით არ მოაწერეს ხელი სამშვიდობო გეგმას და ამ საკითხის გადაწყვეტა რეფერენდუმს მიანდეს, რომელიც 15-16 მაისს უნდა გაიმართოს.

შემოიღეს ეროვნული ვალუტა

დღეს ყირგიზეთში დაიწყო მანეთის გადაცვლა ეროვნულ ვალუტაზე — სომზე, შეფარდებით — 200 მანეთი ერთ სომში. ყირგიზეთის ვალუტის შემოღების მთელი ოპერაცია ოთხ დღეში დამთავრდება. ამის შემდეგ რესპუბლიკაში აიკრძალება მანეთისა და სომის პარალელური მიმოქცევა.

მოსახლეობას უფლება აქვს გადაცვალოს ნებისმიერი რაოდენობის თანხა, რაც პასპორტში სპეციალური ნიშნით აღინიშნება.

ეჭვიც და ოპტიმიზმიც

სირიის პრეზიდენტმა ჰაფეზ ასადმა ეჭვი შეიტანა ისრაელის გულწრფელობაში, რომ ნამდვილად ესწრაფვის მშვიდობას ახლო აღმოსავლეთში. ამასთანავე თქვა, რომ ოპტიმისტურად უყურებს ისრაელის საზოგადოებაში მშვიდობის მომხრეთა რიცხვის ზრდას.

შეხვედრა მოსკოვში

მოსკოვში რუსეთის თავდაცვის მინისტრი პაველ გრაჩოვი შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის უორენ კრისტოფერის წარმომადგენელს სტროუბ ტელბოტს. განიხილეს სიტუაცია ყოფილ იუგოსლავიაში. ტელბოტი მიავლინეს მას შემდეგ, რაც დამთავრდა ამერიკის სახელმწიფო მდივნის ევროპის სახელმწიფოებში მოგზაურობა, რომლის დროს განიხილავდნენ იუგოსლავიის მოვლენებში ნატოს შესაძლო სამხედრო ჩარევის დეტალებს. შაბათს მოგზაურობის შედეგები კრისტოფერმა პრეზიდენტ ბილ კლინტონს მოახსენა. მოკავშირეებმა არ დაუჭირეს მხარი შეერთებულ შტატებს. მოსკოვში პრეზიდენტმა ბორის ელცინმა კანადის პრემიერ-მინისტრთან მალრუნისთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ ორივე ქვეყანა ვითარებას ბოსნიაში აფასებს, როგორც კრიტიკულს, რომ პოლიტიკური მოწესრიგების შესაძლებლობა ვენს-ოუენის გეგმის საფუძველზე ჯერ კიდევ არსებობს.

ვიქტორ ჩერნომირდინი ჩრდილოეთ კავკასიაში

გუშინ რუსეთის ფედერაციის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვიქტორ ჩერნომირდინი ორი დღით გაემგზავრა ჩრდილოეთ კავკასიაში. იგი ეწვევა ინგუშეთის რესპუბლიკას, ჩრდილოეთ ოსეთსა და დაღესტანს. მას თან ახლავს რუსეთის მთავრობის ვიცე-პრემიერი შახრაი და რუსეთის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა პალატის თავმჯდომარე აბდულატიპოვი.

ნაზრანში ვ. ჩერნომირდინი შეხვდება ინგუშეთის უხუცესებსა და ხელმძღვანელებს, ვლადიკავკაზში — ჩრდილოეთ ოსეთის უხუცესებსა და აქტივს, რესპუბლიკის ხელმძღვანელობას.

პ. გრაჩოვი თურქეთში მიემგზავრება

რუსეთის თავდაცვის მინისტრი პ. გრაჩოვი ანკარაში თურქეთის ხელმძღვანელებს (მათი თხოვნით) გააცნობს ობიექტურ ვითარებას ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებით. შეიმუშავებენ ყარაბაღის გამო სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის მოწესრიგების რუსეთ-ამერიკა-თურქეთის გეგმის განხორციელების ერთობლივ ღონისძიებებს. ეს გეგმა უკვე მოიწონა აზერბაიჯანმა. შენიშვნები აქვს სომხეთს.

გამოდის მანეთის ზონიდან

„**მოლდოვაში** ძალზე მალე შემოვიღებთ ეროვნულ ვალუტას", განაცხადა პრეზიდენტმა მირჩა სნეგურმა. ეს დაადასტურა პრემიერ-მინისტრმა ანდრია სანგელიმაც, რომელმაც განუცხადა ჟურნალისტებს, რომ აგვისტომდე რესპუბლიკა საერთაშორისო სავალუტო ფონდისაგან მიიღებს მოლდოვური ლეის შემოღებისათვის საჭირო დახმარებას. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტებმა კიშინიოვს უკვე წარუდგინეს კონკრეტული გეგმა, რომელშიც დათქმულია ფულის შეცვლის ვადები და მეთოდები. იგი განიხილეს ეროვნული ბანკის სპეციალისტებმა და მთავრობამ და მან მაღალი შეფასება მიიღო. მაგრამ ამ დოკუმენტის დეტალებს ჯერჯერობით საიდუმლოდ ინახავენ.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესია

ევროპის საბჭოს წევრად ესტონეთის, ლიტვისა და სლოვენიის მიღების საკითხი, მდგომარეობა ბოსნია-ჰერცეგოვინაში, ევროპაში არალეგალური იმიგრაციის პრობლემა — ასეთია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საგაზაფხულო სესიის დღის წესრიგში შეტანილი ზოგიერთი თემა, რომელიც გუშინ გაიხსნა სტრასბურგში. საპარლამენტო ასამბლეაში დღეისათვის გაერთიანებულია ევროპის კონტინენტის 26 ქვეყანა, რუსეთს, ისევე როგორც ყოფილი სსრ კავშირის ზოგიერთ სხვა სახელმწიფოს, აქვს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში „სპეციალურად მიწვეულის" სტატუსი.

ასამბლეის სესია 14 მაისამდე გასტანს. იმავე დღეს სტრასბურგში გაიმართება ევროპის საბჭოს მთავარი ხელმძღვანელი ორგანოს— მინისტრთა კომიტეტის მორიგი სხდომა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ „ევროპა 26"-ის საგარეო საქმეთა მინისტრები.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

გუდაუთაში ლოთი ქობალიას მოლაპარაკების შესახებ და რეაგირება ამაზე სოხუმში

პარასკევ-შაბათს რუსეთის მთელმა რიგმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გაავრცელეს ცნობები იმის შესახებ, რომ ხუთშაბათს, 6 მაისს გაიმართა მოლაპარაკება აფხაზეთის თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელ პოლკოვნიკ სულთან სოსლანალიევსა და სამეგრელოში არსებულ შეიარაღებულ ფორმირებათა სარდალს პოლკოვნიკ ლოთი ქობალიას შორის, „ინტერფაქსის" სააგენტო აფხაზეთის თავდაცვის სამინისტროს წრეებთან დაახლოებულ წყაროებზე დაყრდნობით იუწყებოდა, რომ ამ მოლაპარაკებაზე შემუშავდა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ომის შეწყვეტა აფხაზეთში. აფხაზთა წყაროებს, რომლებმაც „ინტერფაქსს" გადასცეს ეს ინფორმაცია, არ აღუნიშნავთ შეხვედრის გამართვის ადგილი, მაგრამ, ალბათ, როგორც „ინტერფაქსიდან" კოლეგებმა გვაცნობეს, ეს შეხვედრა გაიმართა 6 მაისს გუდაუთაში.

იმისათვის, რომ შეგვეტყო ამ მოლაპარაკების დეტალები, შაბათს, 8 მაისს, საღამოს ტელეფონით დავუკავშირდით ზუგდიდს და ვესაუბრეთ ლოთი ქობალიას.

ლოთი ქობალიამ დაადასტურა, რომ იგი მართლაც შეხვდა აფხაზთა მხარის წარმომადგენლებს. მას არ უთქვამს, სად გაიმართა ეს შეხვედრა, მხოლოდ განაცხადა: „მნიშვნელობა იმას კი არა აქვს, სად გაიმართა მოლაპარაკება, არამედ იმას, რომ მას დადებითი შედეგი მოჰყვა".

მისი თქმით, მოლაპარაკებაზე ორივე მხრიდან წარმოდგენილი იყვნენ სამხედროები (ქართველთა მხრიდან — ქობალიას შეიარაღებული ფორმირებების სამხედრო საბჭოს წევრები). ქობალიამ აღნიშნა, რომ ორივე მხარე დაეთანხმა იმას, რომ ბოლო მოეღოს შეიარაღებულ წინააღმდეგობას აფხაზეთში, შეწყდეს სროლა და საბრძოლო მოქმედება.

ზემოაღნიშნული ფაქტის კომენტარი ვთხოვეთ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარეს თამაზ ნადარეიშვილს და ამ საბჭოს წევრს იური კეშელავას. მათ თქვეს: „ჩვენთვის არავის არ შეუტყობინებია ზემოაღნიშნული მოლაპარაკების არსი და შედეგები, თავდაცვის საბჭოს არ მიუნიჭებია უფლებამოსილება ლოთი ქობალიასათვის ეწარმოებინა მოლაპარაკება გუდაუთაში". თამაზ ნადარეიშვილმა განაცხადა, რომ აფხაზეთის იმ ტერიტორიაზე, რომელსაც კონტროლს უწევს ქართველთა მხარე, შესრულდება მხოლოდ თავდაცვის საბჭოს მითითებანი. მან და იური კეშელავამ აღნიშნეს, რომ ამასთანავე თავდაცვის საბჭო, რომელიც ესწრაფვის აფხაზეთში კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებას, ადასტურებს, რომ „მზად არის აწარმოოს პირდაპირი მოლაპარაკება გუდაუთის ხელმძღვანელობის წარმომადგენლებთან, მაგრამ არძინბას მონაწილეობისა და შუამავლების გარეშე".

საქართველოს პოლიტიკურ წრეებში ფრიად არაერთმნიშვნელოვნად ეკიდებიან ქობალიასა და მისი მომხრეების ცდებს გამოვიდნენ აფხაზეთში სამშვიდობო ძალების, შუამავლის როლში. ზოგიერთები მიესალმებიან მის ამ ნაბიჯებს, ზოგი მკვეთრად უარყოფითად ეკიდება ამას, სხვები ეჭვის თვალით უყურებენ და ფიქრობენ, რომ მას და მის მომხრეებს ამ დროს საკუთარი პოლიტიკური ინტერესები ამოძრავებთ.

თენგიზ პაჭკორია.

შვებულებიდან დაბრუნებულთ დახვდებათ სამუშაო?

ნედლეული, რომელიც თავად არ გვყოფნის, გარეთ უნდა გაგვქონდეს?

ხშირად კარგად დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას ვერ ვახერხებთ და ისე ვაჭიანურებთ, თითქოს ბედის ბორბალი საჩვენოდ ტრიალებდეს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ კარგა ხანია შულავერის ტყავის გადამმუშავებელი კომპლექსის ამოქმედებაზე ვოცნებობთ, მაგრამ არა და არ უჩანს ბოლო მის დამთავრებას. მშენებლობა მიტოვებულია, იმპორტული დანადგარების 80 პროცენტი უმოწყალოდ ფუჭდება და წყალში იყრება უამრავი ნაშრომი. არადა, ეს გიგანტი საწარმო რომ მუშაობდეს, რამდენ სარგებელს მოუტანდა რესპუბლიკას! იქამდე კი იძულებული ვართ გაჭირვებით, ავად თუ კარგად, კვლავ ვამუშაოთ ამორტიზებული თბილისის ტყავის საწარმოო გაერთიანება...

ხოსო ფხაკაძე — თბილისის ტყავის საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი: მეშვიდე წელია, რაც დირექტორად ვმუშაობ, მაგრამ ისეთი სიძნელე მუშაობაში, როგორიც დღესა გვაქვს, ნამდვილად არასოდეს გვქონია. მახსოვს ის დღეები, ნედლეულით სავსე ვაგონების გადმოტვირთვას რომ ვერ ავუდიოდით და ამისთვის საყვედურსაც ვღებულობდით. ახლა კი ჩვენი გაერთიანება გაჩერებულია და არაფერს ქმნის. არადა, წარმოების გამოცოცხლების გარეშე ყოველგვარ წინსვლაზე ზედმეტია ლაპარაკი.

საფეხსაცმელე ტყავს ჩვენი გაერთიანება უშვებდა, მაგრამ წლების მანძილზე (იგი გასული საუკუნის 60-იან წლებში დაარსდა), როგორც იტყვიან, მან თავისი დრო მოჭამა და დღეს აქ არსებული მანქანა-დანადგარების 80 პროცენტი ამორტიზებულია. საერთოდ, თბილისის განვითარების გენერალური გეგმის მიხედვით, ეს ქარხანა 1989 წლიდან უნდა დაეხურათ, რადგან ამ დროისათვის უნდა ამოქმედებულიყო შულავერის ტყავის გადამმუშავებელი კომპლექსი (მისგან თურმე ქრომის ტყავს უნდა ველოდოთ), მაგრამ, როგორც ხედავთ, ის ჯერჯერობით ვერ ხერხდება. საერთოდ ჩვენი გაერთიანება ნედლეულის 70 პროცენტს შუა აზიიდან და რუსეთიდან ღებულობდა, ხოლო 30 პროცენტს — რესპუბლიკის ხორც-კომბინატებისა და ცეკავშირის დამამზადებელი სისტემიდან. შარშან 120-180 ათასის ნაცვლად 34 ათასი ცალი ნედლეული მივიღეთ, წლეულს კი ჯერჯერობით ერთი ცალიც არ მიგვიღია.

პრობლემა

მოკლედ, დიდად ვზარალდებით იმის გამო, რომ ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან სამთავრობო ხელშეკრულებები არ არსებობს. ჩვენი უპირველესი ამოცანა დღესდღეობით სწორედ ამ ხელშეკრულებების ოფიციალურად გაფორმება გახლავთ, აი, მაგალითად უზბეკეთში 2 მილიონი მანეთი გვაქვს გადარიცხული, მაგრამ საქონელს ვერ გვიგზავნიან და მიზეზად ლიცენზიის უქონლობას ასახელებენ.

ჩვენ მზად ვართ ნებისმიერ ჩვენს ხორცკომბინატთან გავაფორმოთ ხელშეკრულება, მაგრამ ისინი თვითონაც იშვიათად მუშაობენ და ჩვენ რას მოგვცემენ. საერთოდ იმ ფაქტს უნდა მიექცეს ყურადღება, რომ სტრატეგიული დანიშნულების ნედლეული რესპუბლიკიდან არ გავიდეს.

ჯემალ გახოკიძე — თბილისის ტყავის საწარმოო გაერთიანების პროფკავშირის თავმჯდომარე: დღეს უფრო ბევრს ვლაპარაკობთ, ვინემ საქმით რამეს ვაკეთებთ. დიახ, ჩვენი საწარმო ფაქტობრივად გაჩერებულია, ფეხსაცმლების მრეწველობაში ნედლეულის მწვავე დეფიციტმა დარგის მუშაობა ჩაშალა. დარგში კი 9 ათას კაცზე მეტია დასაქმებული. უნედლეულობა გვახრჩობს. ამიტომაც აუცილებლად მიმაჩნია რუსეთთან და სხვა რესპუბლიკებთან ეკონომიკური ხელშეკრულებების დადება. ამ საერთო გაჭირვების ჟამს საქართველოს, ასე თუ ისე აქვს საშუალება ნაწილობრივ მაინც გამოვიდეს მდგომარეობიდან — ეს არის ადგილობრივი რესურსების მაქსიმალური გამოყენება, მაგრამ, სამწუხაროდ, აქაც დიდ წინააღმდეგობებს ვაწყდებით, რაც სხვადასხვა მიზეზითაა გამოწვეული. ცნობილია, რომ უკვე მესამე წელია, რაც ცენტრალიზებული მომარაგება შეწყდა, აღარ არსებობენ მომწოდებელი ორგანიზაციები, ფაქტობრივად საწარმოები, ვისაც როგორ შეუძლია, ისე ზრუნავენ საკუთარ თავზე. თვითონ ამყარებენ კავშირებს მომწოდებლებთან, ეძებენ ბაზარს, ეს, ერთი მხრივ, კარგია, მაგრამ, მეორე მხრივ, — ცუდიც, რადგან საწარმოთა ასეთი ქაოსური მართვა ჩვენს ისედაც გაძვალტყავებულ რესპუბლიკას კარგს არაფერს მოუტანს. სამწუხაროა, რომ დღემდე ვერ გამონახა საწარმოთა საქმიანობის სწორად წარმართვის ხელშემწყობი საშუალებები. ადრე საწარმოს თუ რაიმე შემოაკლდებოდა — ნედლეული იქნებოდა ეს, საწვავი თუ სხვა რამ, სახელმწიფო ავსებდა ამ დანაკლისს. ახლა კი სიტუაცია კარდინალურად არის შეცვლილი — არსაიდან არაფერი დახმარება. ამ და სხვა მრავალი მიზეზის გამო ჩვენი საწარმო ფაქტობრივად ეკონომიკური კატასტროფის წინაშე დგას.

მაგრამ, როგორც ვთქვი, დღევანდელ პირობებშიც შეიძლებოდა რაღაც რეზერვების მოძიება, ვინაიდან არსებობს მთავრობის დადგენილება რესპუბლიკის გარეთ ტყავნედლეულის გატანის აკრძალვის შესახებ, მაგრამ, როგორც ვხედავთ, კანონი არ სრულდება და ჩვენი ნედლეული უმოწყალოდ გაედინება უცხოეთში, უკვე დასამალი აღარ არის, რომ მასობრივად გააქვთ ტყავნედლეული თურქეთის რესპუბლიკაში სხვადასხვა ორგანიზაციებსა და კერძო პირებს, რაც დიდ ზიანს აყენებს რესპუბლიკის ეკონომიკას, ზრდის უმუშევრობას და უარესად ძაბავს პოლიტიკურ მდგომარეობას. თუ გვინდა შიმშილობას თავი დავაღწიოთ, ფეხშიშველი არ დავრჩეთ და ჩვენს მეომრებს თბილად ჩავაცვათ, უნდა ამოქმედდეს მთავრობის დადგენილება და საბოლოოდ შევწყვიტოთ ნედლეულის უცხოეთის ბაზარზე გატანა. ამასთანავე რესპუბლიკის მეცხოველეობის რაიონებში უნდა მოხდეს ნედლეულის ორგანიზებული დამზადება, რითაც ხელს შევუწყობთ განადგურებული ეკონომიკის გამოცოცხლებას.

როგორც ჩანს, ჯერჯერობით სასიკეთოს არაფერს უნდა ველოდეთ, გაერთიანების მშრომელები ახლა 1993 წლის კუთვნილ შვებულებაში არიან, ეს თვეც სწრაფად გაირბენს და საკითხავია, დაბრუნებულებს დახვდებათ კი სამუშაო?

ლალი ქინქლაძე.

სიძნელეების მიუხედავად...

ინფორმაცია ჭიათურიდან

რთული პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობაა მთელს რესპუბლიკაში. უჭირს საქართველოს, უჭირს მის რეგიონებსაც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჭიათურა ყველანაირად ცდილობს შეინარჩუნოს ძველი რიტმი, გამგეობა (გამგებელი — ჯემალ გურული) და ადგილობრივი მოსახლეობა ხელისუფლების დიდი მხარდაჭერით ერთსულოვნად წყვეტენ რთულ პრობლემებს. მართალია, უკვე შვიდი თვეა, აქ მანგანუმს ვეღარ აწარმოებენ, სამაგრი ხის მასალის უქონლობის გამო, მაგრამ გამგეობამ და საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ ხელმძღვანელობამ გამონახეს სახსრები და წარმოების 8000 მუშა-მოსამსახურის ხელფასის ორ მესამედს ყოველთვიურად აძლევენ.

თუმცა, ჭიათურელებისათვის მარტო ხის მასალა როდია პრობლემა; მანგანუმს ღია წესით იღებენ და საწვავით ცუდი მომარაგებაა იმის მიზეზი, რომ ამოღებული ნედლეულის მოცულობა სრულიად უმნიშვნელოა გასულ წლებთან შედარებით. ჭიათურის მანგანუმით რუსეთის ბევრი საწარმო მუშაობდა, ახლაც ბევრს სჭირდება ეს მრეწველობისათვის აუცილებელი კომპონენტი, ამიტომ „ჭიათურმანგანუმს“ განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება. მისი წარმოების გაზრდა ჭიათურელებსაც მყარად დააყენებს ფეხზე და რესპუბლიკასაც დიდად წაადგება.

გაჭირვების მიუხედავად, ჭიათურელები თავდადებული შრომით უდგანან გვერდით რესპუბლიკის მრეწველებს. მუშაობს ადგილმრეწველობა, სალიეთის მაღაროთსამმართველო, კვარცის ქვიშების გაერთიანება, სრული დატვირთვით მუშაობს პურკომბინატი, უნდა ითქვას, რომ არც მრეწველობის ეს დარგია უპრობლემოდ დარჩენილი. შეფერხებით მიეწოდება ელექტროენერგია. სამწუხაროდ, საერთოდ არ იღებენ გაზს.

დიახ, პრობლემები და ობიექტური ხელშემშლელი მიზეზი ბევრია, მაგრამ სიძნელეების მიუხედავად, მაინც დიდი ყურადღება ეთმობა სოციალურ სფეროს. მიმდინარეობს კეთილმოწყობის სამუშაოები, ქალაქის ცენტრში გაშენდა ახალი სკვერი, მუშაობენ ბავშვთა საცურაო აუზის აღდგენაზე, საბავშვო ბაღები და სკოლები შეუფერხებლად ფუნქციონირებს. სათანადო ყურადღება ექცევა სკოლა-ინტერნატს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჯანმრთელობის ქსელის ობიექტებს აკლიათ მედიკამენტები, ჭიანურდება სარემონტო სამუშაოები ინფექციურ და ქირურგიულ განყოფილებებში.

უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში გაუმჯობესდა საკვები პროდუქტებით მომარაგება. აღსანიშნავია, რომ ჭიათურაში კუპონებით ვაჭრობაში არავითარი პრობლემა არ არის, საკოლმეურნეო ბაზარში კი დედაქალაქის ბაზრებთან შედარებით ფასები საგრძნობლად იაფია.

საწვავის უქონლობის გამო, შეფერხებებით მუშაობს ქალაქის ტრანსპორტი. სამაგიეროდ, ჭიათურის გამგეობის დიდი მცდელობით მუშაობს ჭიათურა-თბილისის მატარებელი. დამატებით დადის ზესტაფონი-ჭიათურა-საჩხერის მატარებელი — ოთხი ვაგონი დღეში ორჯერ.

9 მაისი ჭიათურაშიც შესაფერისად აღინიშნა. მართალია, უწინდელივით დიდი ზეიმი არ გამართულა, მაგრამ რაიონის ხელმძღვანელობამ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს შეხვედრა მოუწყო. ისინი კი, ვინც შეხვედრაზე ვერ მოვიდნენ ავადმყოფობის გამო, შინ მოინახულა და საჩუქრები გადასცა. ვეტერანები მადლიერებით შეხვდნენ გამგეობის ყურადღებას, რომელიც ასე აკლდათ.

თემურ ბურდილაძე.

ჩოგანი

კრივი

ფინეთის ქალაქ ტამპერეში დაიწყო მსოფლიოს მეშვიდე ჩემპიონატი კრივში, რომელშიც 60 ქვეყნის 346 სპორტსმენს შორის საქართველოს 6-კაციანი გუნდიც მონაწილეობს.

სამწუხაროდ, პირველი წრის შეხვედრებში დამარცხდნენ და ტურნირს გამოეთიშნენ ქუთაისელი თენგიზ მესხიძე (67 კგ) და ფოთელი მძიმეწონოსანი ზურაბ სარსანია.

მათ გარდა, ამ უმნიშვნელოვანესი ასპარეზობების ისტორიაში პირველად, დამოუკიდებელი საქართველოს სახელით, რინგზე გამოვლენ მესტიელი რამაზ ფალიანი, ფოთელი პაატა გვასალია, თბილისელი კახაბერ ჩიქვინიძე და გორელი გიორგი კანდელაკი.

წყალბურთი

დასასრულს მიუახლოვდა მსოფლიო თასის გათამაშება წყალბურთში, რომელსაც საბერძნეთის დედაქალაქი ათენი მასპინძლობს.

ტურნირის ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან იტალია-ავსტრალია და აშშ-უნგრეთი. მოულოდნელი ფიასკო განიცადა ფავორიტმა — რუსეთის ნაკრებმა, რომელმაც ჯგუფში სამივე მატჩი წააგო.

ჩოგბურთი

ამ დღეებში დამთავრდა პროფესიონალ ჩოგბურთელთა რამდენიმე პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირი.

ქალები. რომში მთავარი ჯილდოს მფლობელი გახდა ესპანელი კონჩიტა მარტინესი, რომელმაც ფინალში ფარ-ხმალი დააყრევინა მსოფლიოს მესამე ჩოგანს არგენტინელ გაბრიელა საბატინის.

ვაჟები. ჰამბურგის ღია ჩემპიონატში გამარჯვება მოიპოვა კორტის მასპინძელმა მიხაელ შტიხმა. მან ფინალური ორთაბრძოლა მოუგო რუს ანდრეი ჩესნოკოვს.

ფეხბურთი

გაიმართა იტალიის ფეხბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის 30-ე ტური. გთავაზობთ ლიდერთა სამეულის შედეგებს: „ანკონა“-„მილანი“ — 1:0, „ინტერი“-„ლაციო“ — 2:0, „იუვენტუსი“-„ფოჯა“ — 4:2 (3 ბურთი სტუმართა კარში რობერტო ბაჯომ გაიტანა).

ფინიშამდე 4 ტურით ადრე „მილანს“ 46 ქულა აქვს და კვლავ 4 ქულით უსწრებს „ინტერს“. „იუვენტუსმა“ 36 ქულა მოაგროვა.

უჩვენებს თბილისი

ეთერშია საქართველო

ოთხშაბათი

12 მაისი

7.25 — ბასტი-ბუბუს აერობიკა. 7.30 — **ალიონი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.00 — **ნაშუადღევი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 17.00 — **ვესტნიკი** — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — თეატრი და ბავშვები (გამეორებით). 18.00 — განცხადებები. 18.10 — ბასტი-ბუბუ. 18.45 — ანძა — ტელემარკეტინგი. 18.55 — „პატივი ეც მამასა შენსა...“ 19.25 — ჩვენ. 19.50 — რეკლამა. 20.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 20.40 — დიალოგი (გადაცემაში მონაწილეობს რეზო ამაშუკელი). 22.00 — მაცნე — საინფორმაციო პროგრამა. 22.15 — თეატრალური ფოსტა. 23.15 — **ქვიშის საათი** — საინფორმაციო პროგრამა. 23.30 — ევროპის თასების მფლობელთა თასის ფინალური მატჩი: „ანტვერპენი“-„პარმა“. შესვენებისას (0.15) — თასების მფლობელთა თასის ფინალური მატჩის ფრაგმენტები: „დინამო“ (თბილისი) — „კარლ ცაისი“ (იენი).

ხუთშაბათი

13 მაისი

7.25 — ბასტი-ბუბუს აერობიკა. 7.30 — **გამარჯობა, საქართველო!** — საინფორმაციო-შემეცნებითი პროგრამა. 13.00 — **ნაშუადღევი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.45 — ანძა — ტელემარკეტინგი. 17.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — მხატვრული ფილმი. 18.35 — განცხადებები. 18.45 — ბასტი-ბუბუ. 19.20 — პრობლემა უპირველესი... (გადაცემა VII). 19.55 — რეკლამა. 20.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 20.40 — წრე — სატელევიზიო პროგრამა. 21.40 — უკრავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მევიოლინეთა ანსამბლი. 22.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 22.15 — როლი — ზაზა პაპუაშვილი. 23.05 — ვიტალი დარასელიას სახელობის ტურნირის ფინალური მატჩი. 23.50 — **ქვიშის საათი** — საინფორმაციო პროგრამა. 0.05 — მუსიკალური ექსტაზი.

პარასკევი

14 მაისი

7.25 — ბასტი-ბუბუს აერობიკა. 7.30 — **ალიონი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.00 — **ნაშუადღევი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 17.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — მხატვრული ფილმი. 18.35 — განცხადებები. 18.40 — ბასტი-ბუბუ. 19.20 — ანძა — ტელემარკეტინგი. 19.30 — პანა ბალანჩივაძე. 19.55 — რეკლამა. 20.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 20.40 — **პოლიტიკა.** 21.20 — „შენ ფრთა ხარ, ჩუმი და მოტეხილი...“ — თამაზ ბაძაღუა. 22.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 22.15 — რამის იქით. 22.45 — საქართველოს ჩემპიონატი ფეხბურთში: „შევარდენი“ (თბილისი)-„სამტრედია“. 23.50 — **ქვიშის საათი** — საინფორმაციო პროგრამა.

ხსოვნა

ნინო ქავჟარაძე

მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლე იუწყება, რომ გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი ნინო ვასილის ასული ქავჟარაძე. იგი დღიდან სასახლის დაარსებისა ემსახურებოდა მოზარდი თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს. იყო განათლების წარჩინებული მუშაკი, უზადო პედაგოგი, კეთილშობილი ადამიანი. მუდამ გარემოცული იყო როგორც თანამშრომელთა, ასევე ბავშვების სიყვარულითა და პატივისცემით. წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი ადამიანი და დაგვიტოვა დიდი სევდა და ტკივილი.

მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის თანამშრომლები.

ამირან ჩაჩავა

საქართველოს სამედიცინო საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა რენტგენოლოგიის დიდი მოამაგე, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, თბილისის სამედიცინო აკადემიის რენტგენოლოგიის კათედრის გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ამირან ჩაჩავა.

ბატონი ამირანი მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში ფინეთის, გერმანიისა და იაპონიის წინააღმდეგ ჯარისკაცად. იგი იყო დიდების ორდენისა და სხვა მრავალი საბრძოლო ჯილდოს კავალერი. ომის შემდეგ დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი და განვლო გზა კათედრის ასპირანტიდან კათედრის გამგემდე. წლების განმავლობაში იყო რესპუბლიკის მთავარი რენტგენოლოგი, თბილისის რენტგენოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე, რენტგენოლოგთა და რადიოლოგთა საკავშირო საზოგადოების გამგეობის წევრი და ჟურნალ „ვესტნიკ რენტგენოლოგიი ი რადიოლოგიის“ სარედაქციო საბჭოს წევრი.

იგი იყო თვალსაჩინო მეცნიერი, ერუდირებული ექიმი და ბრწყინვალე პედაგოგი, რომელმაც აღზარდა რენტგენოლოგთა მრავალი თაობა. მისი ცხოვრება წარმოადგენს კაცური კაცობის ეტალონს, რომლის მიზანიც იყო მოყვასისადმი სიყვარული და გაჭირვებულისადმი თანადგომა.

ამირან ჩაჩავას ნათელი სახე დიდხანს დარჩება მისი ახლობლების, კოლეგებისა და მეგობრების გულში.

საქართველოს რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტრო, თბილისის სამედიცინო აკადემია, რესპუბლიკის რენტგენოლოგთა და რადიოლოგთა სამეცნიერო საზოგადოება.

ვახტანგ ბააკაშვილი

გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ვახტანგ (ბუბული) ბააკაშვილი.

ვ. ბააკაშვილის სამეცნიერო ინტერესების წრე ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებიდანვე გამოიკვეთა — ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობები, რომელთა კვლევასაც მიუძღვნა მთელი თავისი სიცოცხლე და არ გვეგულება სპეციალისტი, რომელიც ანგარიშს არ უწევდეს ვ. ბააკაშვილის ნაღვაწს. „გრიგოლ ნაზიანზელი ძველ ქართულ მწერლობაში“, „ქართულ-ბიზანტიური მეტაფრასული ჰაგიოგრაფიის ურთიერთმიმართება და ძირითადი თავისებურებანი“, „ანდრია პირველწოდებულის „მიმოსვლის“ ექვთიმესეული თარგმანი“, „დავით ტბელი“, „კლიმენტოს რომაელი ქართულ მწერლობაში“. ეს და ვ. ბააკაშვილის სხვა რამდენიმე ათეული პირველხარისხოვანი გამოკვლევა, ბერძნულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის პრობლემებზე სამუდამოდ შევა ქართული კულტურის კვლევის ისტორიაში.

მან ისე იცხოვრა, როგორც უნდა იცხოვროს ნამდვილმა ქართველმა პატრიოტმა, მეცნიერმა და მოქალაქემ.

მსუბუქი იყოს თქვენთვის ქართული მიწა, ბატონო ვახტანგ!

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.

მკითხველის ფელეტონი

შემოვკრათ ზარებს, სანამ ზარით არ გაგვასვენეს

ამბობენ, ზღვა კოვზით დაილიეო და, აბა, რა გასაკვირია ამ უბნის მცხოვრებთა შეშფოთება, როცა ხედავენ, ეს „ძვირფასი ნედლეული“ როგორ ნიავდება, ცალკე ქარისა და წვიმისაგან, ცალკე ოთხფეხა ცხოველების ფუთფუთითა და მეცადინეობით — იქნებ რამე იხეირო იპოვონ, რაც მის თანამოძმეთ ჯერაც არ უპოვიათ. ახლა ვაზისუბნისკენ მიმავალი ტრანსპორტის ყოველი ჩამოქროლებისას გაუყურებინათ, რა შეუბრალებლად, რა გულსაკლავად მიაქანებს თავის გზაზე ამ რუდუნებით ნაგროვებ ხალხის დოვლათს, მისი ცოდოსრალი ალში ვაზისუბნელებს უთუთქავს გულს, დაღმა კი ისნისუბნელებს. გამოსავალი კი არსად ჩანს, მშველელის მოლოდინში ამაოდ გასცქერიან აქაური მცხოვრებნი მუდმივად რემონტმიმდინარე, მრავალგზის გადათხრილ, ასფალტამოყირავებულ წულუკიძის ქუჩას.

რა ქნან, თუ ნატვრისთვალი გინდა, უნდა ეძებო, უნდა ელოდო კიდეც. „აბა, როგორ გინდა, შე კაცო“. არა, ლოდინი მართლაც მიდენად ოლიმპიური გამოხდით, რომ იმასაც ვერ გრძნობენ, ამ „ძვირფასი ნედლეულით“ გაზულუქებული ვირთხუნები რა სიყვარულად ულოკავენ ფეხებს და როგორი მოწადინებით ცდილობენ ორიოდე მოსაფერებელი სიტყვა მოისმინონ თავიანთი შეფ-მაჩინლებისგან, შინ სტუმრობაზეც რომ უახლოვდებიან, ლიფტით კი თანაბარი უფლებით სარგებლობენ.

ამასობაში ქუჩის ელფერს ცისარტყელას ფერებში ავერთვებთ. სხვადასხვაფერად მოხატულ-მოქარგულ, მოქუჩულ-მოქუჩული მასა გაღმა ვარკეთილის მეტროსკენ მიდენება, გაღმა კი მეტრომშენის დასახლებისკენ უჭირავს თვალი.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ქუჩის მორთვა-მოკაზმვაში მოსახლეობა ქალაქის საუკეთესო დიზაინერებსაც არ უდებს ტოლს. ცდილობენ რა, ერთმანეთზე ახორხლილი, უმნოდ მიყრილი არ გამოუვიდეთ, თითოეულ მოტანაზე ნედლეულს ერთმანეთის გაგრძელებაზე ისე ლამაზად ფანტავენ, მხატვრის ფანტაზიის ნაყოფი გეგონებათ. მათი წყალობაა, ნეიტრალური და მშვიდობიანი ტერიტორიის ესოდენ ფართო ესკალაცია.

თურმე ნუ იტყვით და რომელიღაც ახალგაზრდულ ორგანიზაციას თუ მეცნიერთა ჯგუფს ამ „ძვირფასი ნედლეულის“ დასაკუთრება განუზრახავს, მისი შემდგომი გადამუშავებისა და მეტად საჭირო სასუქის მასალის მიღების მიზნით.

არა, ჩემო კეთილო მეგობრებო, არაფერი გამოგივათ. ინიციატორთა და გამომგონებელთა საქმიანობის ოპერატიული მართვის მექანიზმს 70 წელია სახსრები დაჩუტვია და წინ ვეღარ იძვრის, ან არადა, რისთვისღა დააფინანსებენ თქვენს წამოწყებას, როცა აქვე, სადარბაზოთა სანაგვეებში უფულოდ ყოველგვარი გარჩევა და გახამრჯელის გარეშე გადამუშავდა ნედლეული და ეტყობა, საჭირო კონდიციამდეა მიყვანილი, რაზეც აშკარად მეტყველებს ნეშომპალას ფერის შავი მასისგან უხვად გამოჟონილი გაზის ნაკადები.

ამ არის შეცვლილი ნედლეულით ისეა გაძეძგილი ბუნკერები, რომ ექვსსადარბაზოიანი სახლი ლამისაა ყარუუნივით გასკდეს, მოგეხსენებათ, გაზმახალა აფეთქებასაში ნივთიერებაა.

როგორც ცნობილი გახდა, გადაწყდა ქალაქის დასუფთავების ერთჯერადი ღონისძიების ჩატარება. კვლავ ერთჯერადი. რა იქნება შემდეგ?

სანეპიდემიოლოგთა პროგნოზით, თუ რაიმე არ ვიღონეთ, მოსალოდნელია ეპიდემიის აფეთქება (ამის აფეთქებაც გვაკლდა). მალე ზაფხულიც მოვა, ის დროა, შემოვკრათ განგაშის ზარებს, სანამ ზარით არ გაგვასვენებენ.

ეთერ წულუკიანი.

ქ. თბილისი.

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ამ დღეებში

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

რუსთავის ამბები

ბაზალტის... ძაფი

რესპუბლიკურმა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქტოქსმეორეულგადამუშავებამ“ კიდევ ერთ საშვილიშვილო საქმეს ჩაუყარა საფუძველი: საწარმოო გაერთიანება „ქიმბოჭკოს“ გვერდით აშენებს ქარხანას, რომელიც ბაზალტის ქვისგან დაამზადებს სპეციალურ ძაფს. მასზე დიდი მოთხოვნილებაა ამერიკაში, ბრაზილიაში, უკრაინაში... და დოლარის შემოტანის წყარო გახდება. საწარმო პროდუქციის უკვე წლის ბოლოს გამოუშვებს, მოგების ხარჯზე სიმძლავრენი შემდგომში მკვეთრად გაიზრდება.

ბაზალტის ძაფის ქარხანა „საქტოქსმეორეულგადამუშავების“ მეორე საწარმოა რუსთავში, უფრო ადრე აქ ამოქმედდა ცემენტის მეორე ქარხანა, რომელიც იჭერს არსებული ცემენტის ქარხნის მიერ ატმოსფეროში გაფრქვეულ ცემენტს და ჯერჯერობით თვეში 3 ათას ტონა „მშენებლობის პურს“ უშვებს. იგი ამავე დროს ეკოლოგიასაც მკვეთრად აუმჯობესებს.

აშენებს „აზოტმშენი“

ტრესტი „აზოტმშენი“ ქალაქში ყველაზე ახალგაზრდა სამშენებლო ორგანიზაციაა, ორიოდე წლის ისტორია აქვს და ჩამოყალიბდა საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ ყოფილი გენერალური დირექტორის ზურაბ კერვალიშვილის ძალისხმევით. იგი უკვე დიდ სასიკეთო საქმეებს აკეთებს. უშვებს რკინა-ბეტონის ნაწარმს, მოსაპირკეთებელ ფილებს, სამშენებლო ბლოკს, მალე აქ დაიწყება რკინა-ბეტონის კონსტრუქციების, არასტანდარტული მოწყობილობისა და სხვა პროდუქციის გამოშვება. „აზოტმშენის“ ტრესტის მმართველის მურმან ქარაბაკის განმარტებით დუხჭირ დროში ამას ისინი ახერხებენ საქმიანი კონტაქტებით რესპუბლიკის ფარგლებსგარე ორგანიზაციებთან.

მიხეილ მუმლაძე.

გაზეთ „ბანკის“ გერმანული ნომერი

თბილისში, რესპუბლიკის ეროვნულ ბანკში „დოიჩე ბანკის“ წარმომადგენლობის გახსნასთან დაკავშირებით გამოვიდა გაზეთ „ბანკის“ სპეციალური ნომერი გერმანულ ენაზე, რომელიც ორ ქვეყანას — გერმანიასა და საქართველოს შორის ახალი საბანკო და ეკონომიკურ-ფინანსური ურთიერთობების დამყარებას მიეძღვნა.

გაზეთი გერმანელ მკითხველს აცნობს საქართველოს საბანკო სისტემას, მის სტრუქტურულ თავისებურებებს, სთავაზობს მასალებს ჩვენს ქვეყანაში საბანკო საქმის წარმოშობისა და განვითარების შესახებ. სპეციალურ ნომერში ცალკე გვერდები ეთმობა ქართველი ბანკის მოღვაწეების, დიდი მამულიშვილების — ილია ჭავჭავაძის, დიმიტრი ყიფიანის, ნიკო ნიკოლაძისა და [illegible] ლორთქიფანიძის ცხოვრებისა და საქმიანობის ამსახველ წერილებს, ასევე ქართული საბანკო ქველმოქმედების ისტორიას, დავით აღმაშენებლის ეპოქის მონეტებს, 1918-1921 წლების საქართველოს საბანკო ცხოვრებას და ა. შ.

ქართველი და გერმანელი ხალხის მეგობრობას ეძღვნება ბატონ ანდრე კარბელაშვილის სტატია „ძმები სიმენსები საქართველოს ცის ქვეშ“. საქართველოსა და გერმანიას შორის არსებულ ისტორიულ და კულტურულ ურთიერთობებზე განსაკუთრებით არის ყურადღება გამახვილებული ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბატონ დემურ დვალიშვილის მისასალმებელ წერილშიც.

გაზეთში დაბეჭდილია ორი სახელმწიფოს — გერმანიისა და საქართველოს ბოლო პერიოდის პოლიტიკური ცხოვრების ამსახველი ფოტომასალები...

როგორც უცხოელმა სტუმრებმა აღნიშნეს, გერმანული გაზეთი ძალზე სასიამოვნო და მოულოდნელი სიურპრიზი იყო, რომელიც ჩვენში „დოიჩე ბანკის“ წარმომადგენლობის გახსნის დღეს მათთვის დაუვიწყარ საჩუქრად იქცა...

ყურადღება!

ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველო მიმდინარე წლის 10 ივნისს 11 საათზე მარჯანიშვილის მოედანი № 2-ში „თბილქალაქპროექტის“ შენობის VI სართულზე სხდომათა დარბაზში ატარებს V აუქციონს. აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება:

— ქ. თბილისის ტერიტორიაზე განთავსებული ვაჭრობის, საზკვების და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები:

ობიექტის დასახელება და მისამართი	ობიექტის პროფილი	დაკავებული ფართობი (კვ. მ.)		სამუშაო ადგილების რაოდენობა	საწყისი ფასი (ათასი მან.)
		საერთო ფართი	სასარგებლო ფართი		
ვაკის რაიონი					
სანაყინე პავილიონი № 74 ვაკისპარკი	სანაყინე	11.0	11.0	1	2236,0
კაფე-სანაყინე № 53, კოსტავას 64 (ზოოპარკი)	სანაყინე	20,0	20,0	3	2886,6
საზ. კვების № 87 სანაყინე ალ. ყაზბეგის 49	სანაყინე	10,0	10,0	1	3028,6
სანაყინე ჯიხური № 52, კოსტავას 64	სანაყინე	9,0	9,0	1	1620,7
სამგორის რაიონი					
სურსათვაჭრობის № 16 მაღაზია სახ. საწარმო „ზესო“ შუამთის 20	სურსათი	60,0	15,0	1	1655,3
საზ. კვების გაერთიანება № 28 ობიექტი „სამწვადე“ „ვარკეთილი“ სახ. საწარმო შუამთის 12	სასაუზმე	155,0	60,0	3	5001,2
ჩუღურეთის რაიონი					
საზკვების გაერთიანება № 83 სასოსისე ქვალონის 3	სასოსისე	34,0	24,0	3	485,8
საზკვების გაერთიანება № 92 კაფე-სანაყინე ჯაფარიძის სკვერი	სანაყინე	35,0	35,0	2	5965,0
საბურთალოს რაიონი					
სურსათვაჭრობის მაღ. № 34-ის მინის ტარის მიმღები პუნქტი	მიმღები პუნქტი	30,0	30,0	1	339,9
ისნის რაიონი					
ხილბოსტანვაჭრობის პავილიონი №1 17 იანვრის ქუჩა	ხილბოსტანვაჭრობა	50,0	20,0	3	788,0
ხილბოსტანვაჭრობის პავილიონი № 20 ბ. ხმელნიცკის 51	ხილბოსტანვაჭრობა	32,0	12,0	5	1376,5
ნაძალადევის რაიონი					
სურსათვაჭრობის მაღ. № 27-ის ფილიალი, კონდოლის 2	სურსათი	10,0	10,0	2	989,5
სურსათვაჭრობის პავილიონი № 5-ის ფილიალი ავიაქიმიის 12	სურსათი	22,0	12,0	1	73,9
სურსათვაჭრობის პავილიონი № 5-ის ფილიალი 1 წეროვნის 15	სურსათი	32,0	16,0	1	599,3
სურსათვაჭრობის მაღ. № 31 მუშათა ქ. № 19	სურსათი	30,0	18,0	1	896,5

შენიშვნა: ყველა ზემოთ აღნიშნული ობიექტი განთავსებულია ცალკე მდგომ შენობა-ნაგებობებში.

— **დაუმთავრებელი სამშენებლო ობიექტები:**

1. მაღაზია, მდებარე ვარკეთილი-3, II მიკრორაიონი, № 5 ბლოკში 207 კვ. მ. სასარგებლო ფართით, დღევანდელი მდგომარეობით შესრულებულია საძირკვლის სამუშაოები და დამონტაჟებულია სვეტების ნაწილი. საწყისი ღირებულება შეადგენს 23 მლნ. 200 ათას მანეთს.
2. მაღაზია, მდებარე ვარკეთილი-3 მეორე მიკრორაიონში, № 6 ბლოკში 207 კვ. მ. სასარგებლო ფართით, დღევანდელი მდგომარეობით დამუშავებულია ქვაბული, დასამთავრებელია საძირკვლის მოწყობა. საწყისი ღირებულება შეადგენს 23 მლნ. 600 ათას მანეთს.

ობიექტების გაყიდვა მოხდება კუპონებით. აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა მიმდინარე წლის 9 ივნისის 11 საათამდე არსებული წესის მიხედვით უნდა წარმოადგინონ განაცხადი სახელმწიფო ქონების მართვის საქალაქო სამმართველოში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩა № 4.

ცნობებისათვის შეგიძლიათ დარეკოთ 93-34-31.

ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველო.

აკად. კ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი, საქართველოს სამედიცინო აკადემიის I მეანობა-გინეკოლოგიის კათედრა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი რენტგენოლოგი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ამირან ვლადიმერის ძე ჩაჩავა

და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ამირან ვლადიმერის ძე ჩაჩავა

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქინფორმის კოლექტივი თანაუგრძნობს ბატონ არჩილ მანჯგალაძეს დედის

ნინო ქავჟარაძე-მანჯგალაძის

გარდაცვალების გამო.

განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო და ფირმა „P. L. C.“ 1993 წლის 5 ივნისს აწყობენ ღია აუქციონს, რომელზეც გამოტანილი იქნება თიანეთის რაიონის დაბა სიონის ჰიდროელექტროსადგური.

სიონჰესი ექსპლუატაციაში შევიდა 1964 წელს. მისი აგრეგატების სიმძლავრეა 9140 მგ. ვტ. და წელიწადში გამოიმუშავებს 17 მლნ. კვტ. სთ. ელექტროენერგიას. სიონჰესს უკავია 0,50 ჰა ფართობი. მასში მომუშავე პერსონალი შეადგენს 18 კაცს.

სიონჰესის საწყისი ღირებულება შეადგენს 48 748 750 კუპონს.

აუქციონი გაიმართება ქ. თბილისში ი. ჭავჭავაძის გამზირი № 49-ში საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში დღის 12 საათზე.

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველთა განაცხადები მიიღება 1993 წლის 4 ივნისის დღის 12 საათამდე.

დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ ფირმა „P. L. C.“-ში შემდეგ

მისამართზე: ქ. თბილისი ნინოშვილის ქ. № 28,

ტელ.: 96-60-98, 95-18-28, 95-15-71, 96-11-00.

ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 13 მაისს.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-78-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

ხიდი

იტალიას მიმედება

ქართველი ტენორისა

ახალგაზრდა ვოკალისტი, 21 წლის პაატა სვანიძე ის ბედნიერი გამონაკლისია, რომელმაც უკვე მოიპოვა კარუზოს სახელობის საერთაშორისო კონკურსის დიპლომანტობა, უფრო მეტიც, იტალიის მხარემ გადაწყვიტა, წვლილი შეიტანოს მის მომავალ დახელოვნებაში.

ის იყო თბილისის კონსერვატორიის მესამეკურსელი სტუდენტის ღვაწლმოსილ მაესტროსთან ნოდარ ანდღულაძესთან ერთი წლის თავდაუზოგავი მეცადინეობის შედეგი. თუმცა, როგორც თვით ბატონი ნოდარი ამბობს, პაატა ამ კონკურსზე საპრიზო ადგილების მოპოვების პრეტენზიით სულაც არ წასულა, არამედ მხოლოდ ნიადაგის მოსასინჯად და გარკვეული გამოცდილების შესაძენად.

მაგრამ თავისთავად ამ კონკურსში მონაწილეობა იყო ფრიად პასუხსაგები. კონკურსის თაოსნები, ქალაქ მილანის კონსერვატორია და კარუზოს ასოციაცია, ორ წელიწადში ერთხელ უხმობენ ხოლმე სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდა ტენორებს და ნაირგვარობის თვალსაზრისით, არცთუ ისე იოლი პროგრამის შესრულებას სთხოვენ მონაწილეებს. იგი მოიცავს ძველ კლასიკურ ნიმუშებსაც და ადრეული რომანტიზმის, ფრანგულ, გერმანულ, რუსულ ქმნილებებს, გლუკიდან დაწყებული ვიდრე ვერდიმდე.

სხვა კონკურსებისაგან განსხვავებით, პირობებში ისიც არის აღნიშნული, რომ ახალგაზრდის მონაწილეობისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მის მასწავლებელს. აქედან, ნათელია ბატონ ნოდარის გაბედული არჩევანი — ახალბედა მოწაფისადმი ესოდენი ნდობა.

უეჭველია, რომ პაატას ბუნებრივად კარგი მონაცემები, ნიჭი და შრომისმოყვარეობა, ამის საბაბს აძლევდა მის პედაგოგს. თუმცა, ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია კონკურსის ჟიურისაც, რომლის წევრები იყვნენ წარსულში საქვეყნოდ აღიარებული იტალიელი მომღერლები ფრანკო კორელი, ჯანი რაიმონდი, ჯულიეტა სიმიონატო, ლუიჯი ალვა და დირიჟორი ნინო სანცონიო. ჟიურის თავმჯდომარეობდა მილანის კონსერვატორიის რექტორი მარჩელო აბადო (ცნობილი დირიჟორის კლაუდიო აბადოს ძმა).

შეფასებაში მონაწილეობდა კონცერტმაისტერი რობერტო ნეგრიც, რომელიც ერთადერთი კონცერტმაისტერი იყო ყველა მონაწილისა.

ქართველი მომღერალი მონაწილეთაგან ყველაზე ახალგაზრდა აღმოჩნდა. კარუზოს ასოციაციის პრეზიდენტს ლუჩანო პიტუელოს ნოდარ ანდღულაძესთან სატელეფონო საუბარში აღუნიშნავს, პაატა სიმღერის ნამდვილი მგოსანიაო. მას სპეციალისტების ყურადღება იმითაც მიუქცევია, თუ როგორ შეძლო ასე მოკლე დროში საკმაო პროფესიული ჩვევების შეძენა, რაც უდავოდ სწავლების სწორი მეთოდებით არის მიღწეული, ამიტომაც, გადაუწყვეტიათ იტალიელებს მოწაფესთან ერთად მასწავლებელიც მიიწვიონ იტალიაში, რათა ერთად გადაწყვიტონ პაატას ბედი, ერთად გაიაზრონ და დაგეგმონ მის მომავალი.

ჩვენთვის უპრეცედენტო შემთხვევაა. ეს ნოდარ ანდღულაძის სწორი პედაგოგიური ხელოვნების კიდევ ერთი აღიარებაა. მის აღზრდილთაგან ხომ არაერთს მიუქცევია მსოფლიოში ყურადღება და სხვადასხვა პაექრობის გამარჯვებულებიც არიან, ესეც რომ არა, ბოლო წლებში ქართული ვოკალური სკოლის დონის შესამჩნევი ამაღლება, გარკვეულწილად ნოდარ ანდღულაძის სახელთან უთუოდ არის დაკავშირებული.

ახლახან ბატონი ნოდარი თავის მოწაფითურთ იტალიას გაემგზავრა. მოგეხსენებათ, ჩვენი სიდუხჭირის ამბავი, და სამ თვეს ვერა, მაგრამ თვე-ნახევარს კი უთუოდ დაჰყოფენ. ყოველივე ეს კი მოხერხდა ფირმების „კასტუსისა“ და „ირქვანის“ ხელშეწყობით (პრეზიდენტები დიდიმო სტურუა და კობა ჯიბლაშვილი).

გარდა იმისა, რომ იტალიაში ერთობლივად გადაწყდება პაატა სვანიძის მომავალი დახელოვნების ბედი, იგი მონაწილეობას მიიღებს კარუზოსადმი მიძღვნილი ორთვიანი გამოფენის კონცერტებშიც. თავის მხრივ, ნოდარ ანდღულაძე ღია გაკვეთილებს ჩაატარებს.

— ძალიან მინდა, მტკიცე ურთიერთობა დავამყარო კარუზოს ასოციაციასთან, და საერთოდ, ვიზრუნო ამ მხრივ იტალიასთან კავშირების გაღრმავება-გაფართოებაზე, — განუცხადა გამგზავრების წინ ბატონმა ნოდარმა.

რუსუდან მუხიგულაშვილი.

სურათზე: პაატა სვანიძე და ნოდარ ანდღულაძე.